Unserer Ansicht nach handelt es sich hierbei um eine Form der Reduktion. In diesem Zusammenhang ist A. Schanidse's These vom Vokal y höchst beachtenswert: „Das Swanische besitzt auch einen Vokal y, aber es ist strittig, ihn zu den grundlegenden zu zählen: Wie die Beobachtung einiger Sprachen, in denen er vertreten ist (Abchasisch, Armenisch, Swanisch selbst), zeigt, ist er in vielen Fällen des Ergebnisses der Reduktion anderer Vokale und oft auch ein zur Erleichterung der Aussprache von Konsonantenhäufungen entwickelter, sekundärer Vokal“.

Wir nehmen an, daß wir es in diesem Fall mit einer Reduktion zu tun haben: y nimmt die Stelle eines reduzierten Vokals ein. Entsprechend erfahren die Vokale a (ä), e, i und y im leichten Kern des drei- und viersilbigen Wortes eine vollständige Reduktion, d. h. sie zeigen den Wechsel a (ä) / Ø, e / Ø, i / Ø und y / Ø.

Die These, daß y ein sekundärer, entwickelter Vokal ist (d. h. daß eine vollständige Reduktion stattfand und sich danach y entwickelte), scheint zweifelhaft, denn die Tilgung eines Vokals und dann die Entwicklung eines anderen Vokals dort, wo er notwendig ist (als Konsonantentrenner), ist nicht zu erwarten. In solchem Fall wäre es eher gerechtfertigt, daß der ursprüngliche Vokal unverändert erhalten bleibt.

Die These, daß es sich bei y um einen konsonantentrennenden Vokal handelt, wird teilweise durch die Existenz solcher Beispiele negiert wie anyri < anyyri esyri < esyyri, antxe < antixe usw. In den aufgeführten Beispielen ist der Vokal nicht entwickelt, sondern ein vorhandener Vokal wurde vollständig reduziert. Und dies geschah trotz der Konsonantenhäufung, d. h. die Reduktion bestimmte

die Struktur des Wortes. Sie ist eine mächtige Erscheinung im Swanischen. Deshalb ist die Entwicklung eines Vokals in der Reduktionsposition unwahrscheinlich. Zwar ergibt die Konsonantenfolge in den angeführten Beispielen nicht CC<sub>s</sub>C (ein derartiger Fall ist überhaupt nicht belegbar), weshalb wir nichts Endgültiges aussagen können (vielleicht kann ein Sonor nicht zwischen zwei Geräuskonsonanten stehen, und deshalb entsteht y); aber eines ist klar: das Auftreten von y in dieser Position hängt von der Konsonantendistribution ab. Der schwere Kern und seine phonologische Umgebung bedingen die Veränderlichkeit der reduktionsvokale.

Es genügt, von den drei die Reduktion bestimmenden Grundfaktoren (Struktur des Kerns, phonologische Umgebung des Kerns, Reduktionsvokal) einen zu verändern, um die Art der Reduktion zu verändern. In diesem Fall tritt der erste Faktor in seiner ganzen Vollständigkeit in Erscheinung: Die Veränderung der Struktur des Kerns führt zu unterschiedlichen Alternationen eines und derselben Vokale.

Bei einer für die Reduktion zutreffenden phonologischen Umgebung ergaben die Vokale a (ä), e, i und y im leichten Kern den Wechsel V / Ø, im schweren Kern dagegen V / y.

Noch überzeugender wird es, die Alternation V/Ø als Reduktion zu werten, wenn man das Verhalten der Vokale o (ö) und u (ü) im schweren Kern analysiert.

Nehmen wir als Beispiel den typ CVC<sub>s</sub>C des schweren Kerns:

V = ö	
qölp „Herd“	– C Ÿ C <sub>s</sub> C
mequlpa „Familienmitglieder“	↓ – CV   CuC <sub>s</sub> C   V
Körcil „Hochzeit“	– C Ÿ C <sub>s</sub> CV
likurçil ä 1	↓ – CV CuC <sub>s</sub> C VC Ÿ C


V = u (ü)

xuržn ä al, „Tragbeutel (Plur.)“	- CVC <sub>s</sub> CV ũ C
lyxyržin „mit Tragbeutel“	↓ - CV CuC <sub>s</sub> C VC
šündba „selig werden“	- C ũ  C <sub>s</sub> CCV
läšundob ä r „Trinkspruch“	↓ zum - C ũ  CuC <sub>s</sub> C VC ũ C
Andenken an einen Verstorbenen	

Die allgemeine Formel D, die wir aus diesen Ergebnissen gewinnen, hat folgendes Aussehen:

$$\begin{array}{c} \{CVCsC\} \\ + \qquad + \\ \underline{V \qquad VC(VC)} \qquad \text{wobei V gleich o (ö), oder u (ü) ist} \\ V \mid CuC_sC \mid VC(VC) = D \end{array}$$

Zu erwarten gewesen wäre eine Alternation dieser Vokale mit w, aber überall liegt in der Reduktionsposition ein Vokal vor. Womit sind die Alternationen /u, u/u und ü/u zu erklären? Zur Klärung dieser Frage ist es nötig, folgendes in Betracht zu ziehen: Bekanntlich ergeben die Vokale ö und u (ü) im leichten Kern einen Wechsel mit w, d. h. ihr vokalisches Element geht verloren, und es bleibt w übrig, denn u = wy, ü = wi, ö = we. Was o anbelangt, so ist es durch kein inziges Beispiel belegbar). Dagegen bieten die Vokale a, e, i und y im schweren Kern als Reduktionsergebnis y. Dies ist dr Endpunkt ihrer Veränderlichkeit. Deshalb ist:



Demnach erfahren die Vokale ö und u (ü) im schweren Kern drei und viersilbiger Wörter eine „versteckte“ Reduktion.

Die gewonnenen Ergebnisse unterstreichen noch einmal die Besonderheiten des schweren Kerns. Anderfalls würden die Vokale ö, u (ü) einen Wechsel mit u ergeben. Bestimmend ist die phonologische Umgebung des Reduktionsvokals, und zwar die Konsonantenfolge, C<sub>s</sub>C, die Reduktionsvokal unbedingt folgen muß.

### ***III. Die Vokalreduktion in potentiell fünfsilbigen Wörtern***

In potentiell fünfsilbigen Wörtern unterliegen zwei Vokale der Reduktion (der zweite von vorn und der zweite von hinten), daher sind zwei Reduktionskerne zu unterscheiden. Theoretisch zulässig ist, daß in einem Wort zwei Reduktionskerne unterschiedlicher Art und unterschiedliche Reduktionsvokale auftreten, weshalb natürlich auch die Reduktion unterschiedlich verläuft. Ihre einfache Form kann durch folgende Formel ausgedrückt.


$$\begin{array}{c} V + \{CVC\} + V + \{CVC\} + V \rightarrow \\ \downarrow \qquad \downarrow \\ \rightarrow V | C\emptyset C | V | C\emptyset C | V \end{array}$$

Beispiele:


Xabžine „er teilt mit“	– CVCØCVCV
	↓      ↓
laxbažine „er teilte mit“	– CV   CØC   V   CØC   V
apšire „er vermehrt“	– VCØCVCV
	↓      ↓
adpišre „er vermehrte“	– V   CØC   V   CØC   V

akwtune „er rüttelt“	- VCwCVCV ↓      ↓
adkutwune „er rüttelte“	- V CØC   V   CwC   V
sargib „nützlich“	- CVC <sub>s</sub> CVC ↓
asyrgebil „du nutztes“	- V   CyC <sub>s</sub> C   VCVC ↓
lisyrguble „nutzen“	- CV   CyC <sub>s</sub> C   V   CØC   V


Auf der Grundlage der gewonnenen Ergebnisse lassen sich die Schemata der Vokalreduktion des oberbalischen Dialekts der swanischen Sprache für alte theoretisch zulässigen typen des leichten und schweren Kerns darstellen:




Schema 1. Reduktionsvokal a (ä), e, i, und y



Schema 2. Reduktionsvokal o (ö) und u (ü).



Schema 3. Reduktionsvokal a (ä), e, i und y.



Schema 4. Reduktionsvokal o (ö) und u (ü).

## ლიტერატურა

1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.
3. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაციი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
4. თ. გამყრელიძე, თანხმოვანთა „განდასება“ ქართულში, ვარლამ თოფურია 100, 2001.
5. ვ. თოფურია, შრომები, I, თბ., 1967.
6. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1986.
7. ვ. თოფურია, რ და ნ თანხმოვანთა მონაცემებისათვის სვანურ ზმნებში, სახ. უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1941.
8. ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბ., 1927.
9. გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შრომები, ტ. 96, 1963.
10. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. თბ., 1965.
11. ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
12. ა. ონიანი, ოპოზიცია „ხმოვანი-თანხმოვანი“ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. იპე XXII, თბ., 1980.

13. ა. ონიანი, გრძელი ხმოვნის საკითხისათვის სვანურში, იქე XIII, ობ., 1962.
14. ა. ონიანი, სვანური ენა. ობ., 1998.
15. ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, ობ., 1960.
16. ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, ობ., 1965.
17. ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ობ., 1949.
18. ო. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, „მეცნიერება“, ობ., 1976.
19. მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, ობ., 1969.
20. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, ობ., 1998.
21. ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. „წელიწდეული“, ობ., 1923-24.
22. ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხი. I, ობ., 1957.
23. ა. შანიძე, ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმის სვანურში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. V, ობ., 1925.
24. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველი, ობ., 1953.
25. ა. შანიძე, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ობ., 1939.
26. ო. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკი სვანურში, იბერიულ-კავკასიური მეცნიერება, I, ობ., 1946.
27. გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაურის თეორიის გამო ქართველურ ენებში, ო. გამყრელიძე,

- გ. მაჭავარიანი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი  
ქართველურ ენებში, თბ., 1965.
28. ზ. ჭუმბურიძე, უმლაუტი ლენტეურ კილოში.  
თსუ შრომები, თბ., 1960.
29. ზ. ჭუმბურიძე, გრძელი ხმოვნების საკითხი-  
სათვის ქართველურ ენებში, კრებული, აკაკი  
შანიძე – 100, თბ., 1987.
30. ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიუარაძე, რ. ქურდაძე,  
სვანური ენა, თბ., 2007.
31. О.С. Ахманова, Фонология, морфонология,  
морфология, М., 1966.
32. В.И. Георгиев, Фонематический и морфематический  
подход к объяснению флексии славянских языков,  
«Вопросы языкоznания», №4, 1968.
33. Е.С. Кубякова, Ю.Г. Панкрац, Морфонология в  
описании языков, М., 1983.
34. К.Г. Шмидт, Место сванского в семье картвельских  
языков, «Вопросы языкоznания», №2, 1991.
35. K. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes  
der südcaucasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962.  
ქართველური ფუძე-ენის ბგერათხისტემის რეკონ-  
სტრუქციისათვის. თარგმანი თ. კვაჭანტირაძისა  
და ლ. ნაფეტვარიძისა: „სამეცნიერო-ბიბლიო-  
გრაფიული კრებული. თსუ, 1964.
36. ქ. შმიდტი (1997): K. Schmidt, Zur Funktion,  
Formation und Entwicklung des verbalnomens in den  
Kartvelsprachen: „ზურაბ ჭუმბურიძე“ (დაბადების  
70 წლისთავისადმი მიმღვილი კრებული), თსუ,  
1997.
37. Н.С. Трубецкой, Основы фонологии, 1967.
38. Р.И. Аванесов, Фонетика современного русского  
языка, 1956.

39. Г. Гдисон, Введение в дескриптивную лингвистику, 1959.
40. Г.А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. 1964.
41. Г.А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.
42. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, 1933.
43. А. Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, 1960.
44. А.И. Томсон, Общее языкознание, Одесса, 1910.

## სართულის, ოობორც მეორე უნის, სუაგლება

### შესაგალი

1.1. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულმა ენამ შეიძინა სახელმწიფო ენის რეალური სტატუსი. ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნული (სახელმწიფო) ენის ფლობა აუცილებელია იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის. თუმცა საქართველოში რეალობა, სამწუხაროდ, სხვა იყო, რაც იმ არასწორი პოლიტიკის შედეგად მივიღეთ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ატარებდა ეთნიკური უმცირესობების მიმართ. საქართველოში და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობის ენა, რასაკვირველია, იყო რუსული ენა. ისინი სწავლობდნენ რუსულ სკოლებში, სადაც ქართული ენა ისწავლებოდა როგორც „უცხო ენა“ და როგორც ერთ-ერთი რიგითი საგანი, უმეტესად ზერელედ. ამიტომ, ბუნებრივია, უმცირესობათა წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში არ ფლობდნენ სათანადო ქართულ ენას ან საერთოდ არ იცოდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხო ენის სწავლა ზრდასრული ასაკის ადამიანისათვის საკმაოდ რთულია. სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე კი ადამიანი თავს არასრულფასოვან მოქალაქედ გრძნობს. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს თანასწორუფლებიანი. ამისათვის, აუცილებელია, ფლობდეს სახელმწიფო ენას.

საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა წარმომადგენლებმა თანდათანობით გაიცნობიერეს, რომ საჭირო იყო სახელმწიფო ენის ცოდნა ქართულ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირებისათვის. არაქართველთა-

თვის ქართული ენის შესწავლის საკითხი დღითიდან უფრო აქტუალური ხდებოდა. ამავე პერიოდში საქართველოში, როგორც ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იხსნებოდა სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, ჩამოდიოდნენ უცხოელები და მათაც ჰქონდათ სურვილი ქართული ენის შესწავლისა.

12. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას ჰქონდა ძალიან დიდი გამოცდილება ქართული ენის არაქართველთათვის სწავლებისა თითქმის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. ბოლო დროს ამ სფეროს ვკურირებდით ჩვენ კათედრის გამგის, პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის, ხელმძღვანელობით. ამდენად მეტ-ნაკლებად ვიცოდით ყველა ის პრობლემა, რომელიც ახლდა ქართულის, როგორც უცხო ენის, შესწავლის საქმეს. ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით ახალი რეალობის გათვალისწინება. ის უცხოელები, რომლებსაც ჩვენ ადრე ვასწავლიდით ქართულ ენას, უმეტესად იყვნენ ლინგვისტები, ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლები: ისტორიკოსები, ეთნოლოგები და სხვა. ახლა კი საქმე ეხებოდა სხვადასხვა სპეციალობის მქონე ადამიანებს, რომელთათვისაც მთავარი იყო ქართული ენის შესწავლა საკომუნიკაციოდ. მათთვის სრულიად არ იყო საინტერესო და ხშირ შემთხვევაში კი სავსებით გაუგებარი ენის ლინგვისტური ასპექტები.

### **ენის ათვისებების ორი გზა**

2.1. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში ძალიან აქტუალური გახდა მეორე (უცხო)

ენის დაუფლების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა. შეიქმნა მრავალი თეორია, რომელიც, ცხადია, იყო განსხვავებული, მაგრამ ყველას საფუძვლად ედო ერთი მთავარი პრინციპი: უცხო ენის სწავლების დაწყება კომუნიკაციური მიღგომით. წინა პლანზე იწევს მეტყველება. სამეტყველო კომუნიკაციური ანუ ლოკუციური (ინგ. locution) აქტი. ენის სწავლების ამგვარ პროცესებს შეისწავლის კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ანუ სხვაგვარად მას „უწოდებენ დისკურსის (ლათ. discursus „აქტო-იქტო სვლა, რბენა, „საუბარი“. ფრანგ. discours „საუბარი“, „სიტყვა“, „მსჯელობა“, ინგ. discourse „საუბარი“, „სიტყვა“, „მსჯელობა“, „დისკუსია“) ან ტექსტის ლინგვისტიკას. ტექსტი არის ენობრივ გამონათქვამთა სიმრავლე, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურად დასრულებულ საკომუნიკაციო ერთეულს. მას უნდა ახასიათებდეს აზრის მთლიანობა. ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის მხოლოდ ისეთ ენობრივ გამონათქვამებს, რომელთაც შეუძლიათ საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება. ეს შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, წინადადება და შეიძლება მთელი წიგნი. (1,434) ტექსტი უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული, გამოკვლეულად წარმოაჩენდეს მოლაპარაკის მიზანდასახულობას, განზრახვას და შეესაბამებოდეს სიტუაციას, გარემოს.

ენის სწავლების კომუნიკაციური მიღგომა ნიშნავს მეტყველების დაწყებას პირდაპირ წინადადებებით. ამ შემთხვევაში ცალკეული სიტყვებიდან კი არ მივდივართ წინადადებისაკენ, არამედ, პირიქით, წინადადებიდან ვიწყებთ, რომელიც გარკვეულ აზრს გადმოგვცემს ენის გრამატიკული წესებით ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების საშუალებით და შემდეგ ხდება მისი შემადგენელი სიტყვების შესწავლა. ჩვეუ-

ლებრივ, ეს წინადადებები დიალოგებია. სინტაქსური თვალსაზრისით მარტივი აგებულებისაა და შინაარსობრივად საყოფაცხოვრებო თემებს ეხება.

წინადადებაში სიტყვებს შორის გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს, რომელთა გაანალიზება და გახსნა, საერთოდ, როულია, მაგრამ განსაკუთრებით როულია ქართულის შემთხვევაში.

2.2. ცნობილია, რომ ქართული ენის გრამატიკული სისტემა მკვეთრად განსხვავდება ინდოევროპული ენებისაგან. ქართული ზმნის მრავალპირიანობა გულისხმობს ზმნის ფორმაში სუბიექტური და ობიექტური პირების წარმოჩენას და შესაბამისად ამ პირების მიხედვით მისი ფორმების ცვლას. მისი უაღრესად როული და მრავალფეროვანი კატეგორიები გარკვეულ სიძნელეს უქმნის შემსწავლელს. ასევე როულია ზმნასთან შეწყობილი აქტანტების ბრუნვის ფორმების განსაზღვრა და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამ სირთულეებისა, ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: ნუ გავართულებთ იმას, რაც ისედაც როულია, პირიქით, გაგამარტივოთ. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ზმნის სისტემის გასაგებად, ნათლად და, რაც შეიძლება, მარტივად წარმოდგენა. გრამატიკული კატეგორიების ისე მიწოდება, რომ შემსწავლელმა შეძლოს მისი გააზრება და ათვისება. მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ენის სწავლების საწყის საფეხურზე ძირითადი გრამატიკული სტრუქტურების გაცნობა, გაანალიზება და თანმიმდევრულად დალაგება.

ასევე მნიშვნელოვანია ტექსტების შერჩევა და გრამატიკული ფორმების ახსნა. უნდა იქნეს დაცული პრინციპი: მარტივიდან როულისკენ. საკომუნიკაციო მასალაში ზმნები იმგვარად უნდა იქნეს წარმოდგე-

ნილი, რომ შემსწავლელმა შეძლოს ააგოს მარტივი წინადადებები, რომელთა საშუალებითაც გადმოგვცემს ინფორმაციას თავისი ვინაობის, სპეციალობის, საცხოვრებლის, სურვილის, გრძნობებისა და სხვა ამგვარი საკითხების შესახებ. რაც არის ამ ტიპის სახელმძღვანელოს აგების პრინციპი. საჭიროა საკომუნიკაციო მოდელების ფონზე ძირითადი გრამატიკული კატეგორიების წარმოდგენა და ანალიზი. მთელი ყურადღების გადატანა მორფოსინტაქსურ და მორფოსემანტიკურ ასპექტებზე.

2.3. ცნობილია ენის შეთვისების ორი გზა: 1. ენის ათვისება ბუნებრივ გარემოში. ძირითადად ეს არის ბავშვის მიერ მშობლიური ენის ათვისება. გრამატიკული სტრუქტურისა და წესების სპეციალური შესწავლის გარეშე. როგორც რ. ტრასკი აღნიშნავს: მშობლიური ენის ათვისება მიმდინარეობს არა იმიტაციისა და წახალისების, არამედ ცდისა და კონსტრუირების გზით. ყველა ბავშვი ხუთ წლამდე ასაკში ზუსტი თანმიმდევრობით აწესრიგებს ენობრივ მასალას ისე, რომ 5-6 წლის ასაკში მშობლიური ენის გრამატიკის დაახლოებით 97%-ს უშუალოდ იყენებს. ამ წარმატებას განაპირობებს სამი რამ:

- მშობლები და ოჯახის წევრები, როგორც წესი, ბავშვს არ უსწორებენ არაზუსტად წარმოთქმულ ფრაზებს (ყურადღება გადატანილია შინაარსზე);
- მშობლიური ენის დაუფლება ბუნებრივ გარე მოში ხდება;
- ენა ბავშვისათვის არის გარკვეული ფუნქციისა და მნიშვნელობის მატარებელი (15,169-170).

დ. უზნაძე ასე წარმოგვიდგენს ბავშვის მეტყველების განვითარების ეტაპებს, რომლებიც, ჩვენი აზ-

რით, ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლის პროცესის გაანალიზებისათვის. საწყის ეტაპზე, სანამ ბავშვი მეტყველებას დაიწყებს, ის სხვადასხვა ბგერით რეაქციას იძლევა და ასე გამოხატავს მოზრდილის მეტყველების მიმართ დამოკიდებულებას. სიტყვების, ანუ დიფერენცირებული მეტყველების აღქმას იგი შედარებით უფრო გვიან იწყებს (5 თვის შემდეგ), ხოლო პირველი წლის ბოლოს ბავშვი პირველ სიტყვას და რამდენიმე ცალკეულ ერთმანეთთან დაკავშირებულ თითო-თითო სიტყვას ამბობს. ბავშვის მეტყველების განვითარების ამ ეტაპს ავტორი პირველ სტადიას, ანუ „ერთსიტყვიანი წინადადებების“ სტადიას უწოდებს. ეს **პროცესი გრძელდება ნახევარი წლის განმავლობაში.** შემდეგ ბავშვი თანდაონობით აღწევს გონებრივი განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს, როდესაც ის ეუფლება სიტყვას, როგორც ობიექტის აღმნიშვნელს, ანუ სიტყვა ხდება გარკვეული ობიექტის მნიშვნელობის მატარებელი. ამ ეტაპიდან დ. უზნაძის აზრით, ბავშვი „მეტყველ არსებად“ იქცევა. ე.ი. ამთავრებს „სიმუნჯის პერიოდს“. შემდეგ პროცესი სწრაფად ვითარდება და **2 წლის ასაკში ბავშვმა დაახლოებით იცის 300 სიტყვა,** ხოლო **4 წლის ასაკში – 2000 სიტყვა.** პირველად ამბობს არსებით სახელებს, შემდეგ გადადის ზმნებზე, შემდეგ მიმართავს ზედსართავ სახელს და ა.შ. მეტყველების მეტად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ბავშვის მიერ ფლექსიების (სახელის ბრუნვების, ზმნის უდლების ფორმების და სხვა) დაუფლება, ანუ როდესაც ბავშვი ახერხებს ორი სიტყვის ერთმანეთთან სწორად დაკავშირებას და იტყვის წინადადებებს, როგორც ერთ მთლიან გრამატიკულ სტრუქტურას (6,339-342).

ენის გრამატიკული სტრუქტურის „ინტუიციურად“ ათვისება ბავშვს საშუალებას აძლევს წარმოთქვას გრძელი წინადადებები. ბავშვი ითვისებს ენის შინაგანი წესების რთულ სისტემას, რომელსაც მას არავინ ასწავლის. აღსაქმელად მას ეძლევა მხოლოდ კონკრეტული წინადადებები კონკრეტულ სიტუაციაში. რა პროცესი მიმდინარეობს ბავშვის ფსიქიკაში ჯერჯერობით შეუსწავლელია. ეს უადრესად რთული და გაურკვეველი პროცესია. ზოგიერთი ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ ადამიანის ტვინში არსებობს გენეტიკურად დაპროგრამებული ლინგვისტური მექანიზმი. ასეთია, მაგალითად, ნოამ ჩომსკის თეორია, რომლის მიხედვით: ბავშვს აქვს თანდაყოლილი უნარი დაამუშაოს ინფორმაცია და შექმნას მშობლიური ენის გრამატიკის შიდა სტრუქტურები. თ. გამყრელიძის აზრით, ეს დებულება პიპოთეზურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი რამ, რომ ბავშვის ტვინში ნამდვილად ხდება მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, რადგან ხშირ შემთხვევაში ის ორწევრიანი წინადადებები, რომლებსაც ბავშვი წარმოთქვამს, პირდაპირ არა აქვს მიღებული. გასაოცარია ბავშვის უნარი, მოახდინოს განზოგადება. მას აქვს მოწესრიგებულობისა და ნორმატიულობის გრძნობა. მშობლიურ ენაში იგი ცდილობს „სიმწყობრის აღმოჩენას“. მას შეუძლია განსაზღვროს მოცემული გამონათქვამის სისწორე გარკვეული ენობრივი სტრუქტურების და სტანდარტების მიხედვით. ლინგვისტები ამ უნარს „გრამატიკის გრძნობას“ უწოდებენ. ეს გრძნობა დროთა განმავლობაში ვითარდება და ბავშვი უფრო მეტად რწმუნდება თვის ლინგვისტურ კომპეტენციაში (1,77).

2.4. ჩვენი აზრით, ბავშვის მიერ მეტყველების ათვისების საწყის ეტაპზე ხდება ენის „უდერადობის“

(ვგულისხმობთ ენის მთლიან კომპოზიციას) ათვისება. ეს პროცესი ზრდასრულ ადამიანშიც მიმდინარეობს (უცხო ენის სწავლის დროს), რათა შეძლოს ტექსტის დანაწევრებული აღქმა, ანუ ცალკეული სიტყვების გაგონება გაბმულ ტექსტში. ამისათვის გარკვეული მუშაობაა საჭირო. ეს პროცესი დიდხანს გახდევს შემსწავლელს, სანამ კარგად არ აითვისებს ენას. მაგ.: ჩქარი მეტყველების დროს ვერ იგებს აზრს, ან მისთვის გაუგებარი ხდება იმ ადამიანის საუბარი, ვისაც მეტყველების დეფექტი აქვს (მაგალითად, სიტყვებს არ გამოთქვას ბოლომდე). ენის „ჟღერადობის“ ათვისება არის ძალიან მნიშვნელოვანი უცხო ენის შესწავლის პროცესში. არიან ზრდასრული ადამიანები, რომლებსაც უაღრესად განვითარებული აქვთ სმენითი მეხსიერება და უცხო ენის ათვისებას მხოლოდ სმენის საშუალებით ახერხებენ. ამ ადამიანებს ესმით, რომ ფრაზა არ არის სწორი, რაღაც გაუმართავია, ის ამას ასე არ იტყოდა, მაგრამ კონკრეტულად რაშია საქმე, ვერ გეტყვიან. დაახლოებით ისე, როგორც ეს არის ბავშვის შემთხვევაში. თუ ზრდასრული ადამიანი ამგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული, ის აღმართ უფრო მარტივად ითვისებს ენას, მაგრამ ამისათვის სხვა ხელშემწყობი პირობებიცაა საჭირო. კერძოდ, ადამიანი უნდა მოხვდეს ისეთ გარემოში, სადაც მისი ენა არ ეცოდინებათ და იგი იძულებული იქნება კომუნიკაცია ადამიანებთან დაამყაროს მისთვის უცხო ენის საშუალებით. ასეთ შემთხვევებში ლომის წილი ინდივიდზეა, მაგრამ ეს პროცესი მაინც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. რაც შეეხება ბავშვის სწრაფვას ენის სისტემურობისაკენ, ჩვენი აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბავშვს ასე უფრო ეადვილება მასალის ათვისება, სტრუქტურირებული მასალის

დახსომება გაცილებით უფრო ადვილია (4,166), ანუ ეს არის უფრო მარტივი გზა ენის ათვისებისათვის. ლექსიკის ათვისება ბავშვის მიერ, ცხადია, ხდება მრავალჯერ მოსმენილის დამახსოვრებით.

3.1. ახლა წარმოვადგენთ ენის ათვისების მეორე გზას. ეს არის ენის ათვისება ზრდასრული ადამიანის მიერ საჭიროების გამო, გამიზნულად, გააზრებულად. ეს გზა ძალიან განსხვავდება პირველი გზისგან. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამი ასპექტი: ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და სოციალური. ლინგვისტურ ასპექტში ჩვენ ვგულისხმობთ: 1. ენის ათვისებას კომუნიკაციური მიღებით და 2. ენის აღქმას ერთ მთლიან სისტემად. პირველის შესახებ ჩვენ მოკლედ გვქონდა საუბარი, რაც შეეხება მეორეს, „ენა სისტემაა“ – ეს ცნობილი დებულება ენის შესახებ იმას ნიშნავს, რომ ენა არ არის რაღაც ერთეულების მოუწესრიგებელი სიმრავლე, არამედ ისეთი ელემენტების ერთობლიობაა, რომელთა შორის გარკვეული მიმართებები და კავშირები არსებობს. ეს ელემენტები თავისებურ სტრუქტურებს (ლათ. *structure* „აგებულება“) ქმნიან. ამავე დროს ენის ერთეულები ქმნიან სისტემას, ანუ ერთიანობას, რომელშიც ყოველი ერთეული გარკვეულ კავშირშია ყველა სხვა ერთეულთან. მიმართება ერთეულებს შორის შეიძლება იყოს სინტაქტიკური და პარადიგმატული. ამ სისტემების გააზრება და შესწავლა არის საჭირო. აღნიშნული სისტემები აღიწერება ენათმეცნიერთა მიერ. ენათმეცნიერის ძირითადი მიზანია ენის ბუნების გარკვევა. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: ენის კვლევის დროს, „უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეოთოდოლოგიური იმანენტიზმით“, რაც გულისხმობს

ენობრივი საკითხების გადაჭრას უშუალოდ კონკრეტული ენის ბუნებიდან ამოსვლით. კვლევა-ძიების შედეგად მიღებული უნდა იქნეს დებულებათა ორგანიზებული სისტემა, რომელიც განისაზღვრება ენის ფუნქციონირებით.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ბავშვისათის ენის ათვისების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მიერ ენის გრამატიკული სტრუქტურის „ინტუიციურ“ აღქმას. ბავშვის სწრაფვა ენის „სისტემურობისაკენ“, ჩვენ სიმარტივისაკენ სწრაფვად მოვიაზრეთ (რასაკვირველია, ეს პროცესი ბავშვისათვის გაუცნობიერებულია). ვფიქრობთ, იგივე პროცესები მიმდინარეობს ზრდასრულ ადამიანშიც მეორე ენის შესწავლის დროს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის სრულყოფილი სისტემებისა და სტრუქტურების მიწოდებას შემსწავლელთათვის. რას ვგულისხმობთ სრულყოფილ სისტემაში? თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სისტემები და სტრუქტურები მოიცავს ენის დიდ ნაწილს და მცირეა გამონაკლისი, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოდელი შედარებით სრულყოფილია.

საინტერესოა, რომ გამონაკლისები ენისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ისიც რაღაც სისტემის მიხედვით მოქმედებს, რომელიც შეიძლება არსებობდა გარკვეულ საფეხურზე, კიდევ მეტი, შეიძლება სინქრონიულადაც არსებობს, მაგრამ გაუსხენელია, ანუ „ფარულად მოქმედებს“. სწორედ მისი აღმოჩენა და გაანალიზებაა ენათმეცნიერების საქმე.

3.2. ზრდასრული ადამიანი ფსიქოლოგიურად მეორე ენის შესწავლის დროს საქმიან რთული პრობლემის წინაშე დგას. ჩამოყალიბებული აქვს დედაენის საარტიკულაციო ბაზისი, იცის თითოეული ლექსიკური ერთეულის სემანტიკა, იყენებს მშობლიური ენის

გრამატიკულ სტრუქტურას, ანუ ფლობს ენის ლინგვო-კულტურულ კომპეტენციას. უცხო ენის შესწავლის დროს დიდია დედაენის გავლენა, როგორც ტრუბეცოვი ამბობს, უცხო ენა დედაენის საექტრს გაივლის ინდივიდში (16,37). მაგრამ ეს გავლენა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი. აღნიშნული მოვლენა ენათმეცნიერებაში ცნობილია ინტერფერენციის სახელწოდებით. ინტერფერენცია არის ორენოვნების პირობებში ენობრივი სისტემების ურთიერთქმედება, რომელიც ყალიბდება ენობრივი კონტაქტების (მაგ.: მეორე ენის შესწავლის) დროს (4,164). მეორე ენის შესწავლის დროს ნებისმიერი გადახრა მშობლიური ენის ზეგავლენით არის სწორედ ინტერფერენცია. ასეთი შემთხვევები, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს უცხო ენის შესწავლის პროცესზე. განსაკუთრებით ეს არის ზრდასრულ ადამიანებში, რომელთა ცნობიერებაში მტკიცედ არის ფესვებგადგმული მშობლიური ენის ყველა სისტემა. ამიტომ შემსწავლებებს მუდმივად აწუხებთ კითხვა: რატომ? მათ უნდა მიიღონ ამაზე პასუხი. სასურველია დამაკაყოფილებელი, რომ მოეხსნათ ეს კითხვა. ფსიქოლოგიურად ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

3.3. მეორე ენის სწავლების დროს გვერდს ვერ ავუვლით იმ ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომელსაც განიცდის ზრდასრული ადამიანი. საერთოდ, ადამიანის მიერ ენის გამოყენებას თან ახლავს ფსიქოლოგიური პროცესები, რასაც სწავლობს მეცნიერების ახალი დარგი ფსიქოლინგვისტიკა. ეს ტერმინი პირველად 1953 წელს იქნა მიღებული ფსიქოლოგების, ლინგვისტებისა და ანთროპოლოგების საერთო კონფერენციაზე. ფსიქოლინგვისტიკა იკვლევს 2 ძირითად საკითხს:

1. ენის რა ცოდნაა საკმარისი იმისათვის, რომ ენა გამოვიყენოთ?

2. რა კოგნიტიურ პროცესებია ჩართული ენის გამოყენებაში?

კოგნიტიურ პროცესებში იგულისხმება აღქმა, მეხსიერება, აზროვნება და ისეთი აქტივობები, როგორიც არის საუბარი და მოსმენა (1,473).

ფსიქოლინგვისტიკა საფუძვლად უდევს უცხო ენის შესწავლის მეთოდიკას.

ენისა და ფსიქოლოგიურ პარამეტრთა შორის კავშირის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა XX საუკუნის ბოლოს. ინტერდისციპლინარული მიდგომა საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს მრავალ გადაუწყვეტელ პრობლემას, როგორც ენის ფუნქციონირების, ასევე ადამიანის ქცევის საკითხებთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ ბოდუენ დე კურტენე ყოფდა ერთმანეთისაგან ენის შიდა და გარე მოვლენებს. მისი აზრით, მასალა ენის გარეშე ისტორიისათვის იგივე იყო, რაც მასალა ისტორიისათვის საერთოდ. ხოლო ენის შიდა ისტორიისათვის მასალას თვით ენა იძლეოდა (12,56). ამ საკითხს ყველაზე უფრო დაწვრილებით შეეხო ფრანგი ენათმეცნიერი ფერდინანდ დე სოსიური. იგი მიჯნავდა ენის შიდა და გარე მხარეებს არა ისტორიასთან მიმართებაში, არამედ სტრუქტურაზე დაყრდნობით. მანვე გამოყო ლინგვისტიკის საკვლევ ობიექტად ენის სტრუქტურა, როგორც ჩაკვილი სისტემა (5,24). შემდეგ ლ.ბლუმფილდის თეორიამ (11,98) თუ ტრანსფორმაციულმა გრამატიკამ კიდევ უფრო გაადრმავა სხვაობა ენის შიდა და გარე მხარეებს შორის. იგნორირებული იყო ენის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენა

ენის ისტორიაზე. ლინგვისტს საქმე უნდა ჰქონდეს იდეალურ მოლაპარაკესთან და მსმენელთან. მთავარია ენის რეფერენციული ფუნქცია. წინადადება არის ისეთი ერთეული, რომელიც ყველაზე აღვილად ექვემდებარება სისტემურ ანალიზს. ენა ინდივიდის მიმართ იმპერატიულია, რადგანაც ენა სოციალური მოვლენაა. ენა წარმოადგენს თითოეულისა და ყველას კუთვნილებას მოცემულ ენობრივ კოლექტივში და ამიტომ ყოველგვარი ინდივიდუალური გადახვევა დადგენილი ენობრივი ნორმებიდან კოლექტივის მხრივ მხოლოდ წინააღმდეგობას იწვევს. ენობრივი კოლექტივი კონსერვატიული ძალაა, რომელიც აიძულებს ცალკეულ ინდივიდებს იმეტყველონ ისე, როგორც მეტყველებს ყველა დანარჩენი. ამ თვალსაზრისით ენა განსხვავდება სხვა სოციალური მოვლენებისაგან (5,27-28). ლინგვისტების უმრავლესობა იზიარებდა ფ. სოსიურის ამ მიღომას ენისადმი.

გამონაკლისი იყო მეცნიერთა პატარა ჯგუფი, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ ენის გარე ფაქტორებს. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ ცნობილი მეცნიერები ამერიკაში ე.სეპირი და ბ.ლ.უორფი. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულმა შეზღუდვებმა თავის დროზე პროგრესული როლი ითამაშეს თვით ენის სტრუქტურის საფუძვლიან შესწავლაში და საერთოდ ლინგვისტიკის განვითარებაში. მაგრამ შემდგომ ადმონჩნდა, რომ არსებობს ენაში ისეთი ცვლილებები, რომლებიც ვერ აიხსნება თვით ენობრივი მასალით. ამ ფონზე წარმოშვა ფსიქოლინგვისტიკა და სოციო-ლინგვისტიკა. ინტერდისციპლინარული მიდგომის მომხრეებისათვის ენა დია სისტემა, რომელიც განიცდის გარე მოვლენების ზემოქმედებას და ამის გამო იცვლება. მაშასადამე, მთელი ყურადღება მოდის

მოლაპარაკე ადამიანზე. სამყაროს გააზრების აუცილებლობამ ენათმეცნიერება ახალი პრობლემების წინაშე დააყენა.

ადამიანის გარეშე ენის შესწავლა არასრულყოფილია. კომუნიკაციის პროცესი აქტუალურია, ცოცხალი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენა, რომელიც კოდის სახით არსებობს ადამიანში, აქტუალიზდება კონკრეტული პროცესის დროს. ამგვარი მიღვომა კომუნიკაციური პროცესისადმი გულისხმობს ენის შესწავლას დინამიკაში, ანუ მოლაპარაკისა და მსმენელის წარმოდგენას აზროვნების პროცესში, რაც აუცილებლად ფსიქოლოგიური ფაქტორებით განისაზღვრება და, თავის მხრივ, კოგნიტიურ ასპექტებს მოიცავს. ეს ნიშნავს ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიების შესწავლას ფსიქოლოგიურ ასპექტებთან გათვალისწინებით (ადქმა, აზროვნება, წარმოსახვა, მეხსიერება და სხვ.).

3.4. ფსიქოლოგების აზრით, ორ ინდივიდს შორის კომუნიკაციის აქტი ხორციელდება მენტალური მოვლენების (წარმოდგენების, ცნებების) მატერიალიზაციის გზით. წარმოდგენის მატერიალიზაცია ენაში უნდა მოხდეს ბერის საშუალებით, მაგრამ ბერას არ აქვს უნარი წარმოდგენების პირდაპირი მატერიალიზაციისა (რადგან წარმოდგენა ხატია), სამაგიეროდ თავისუფლად ახერხებს ცნებების მატერიალიზაციას. რადგან ცნება არ არის ხატი, იგი აზრია საგნის ან მოვლენის შესახებ, რომელიც შემდეგ ბერაში (სიტყვაში) რეალიზდება. ეს პროცესი მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ადამიანს თავისი ანატომიური სტრუქტურა საშუალებას აძლევს მენტალური მოვლენების რეალიზაცია მოახდინოს ბერაში, ანუ თავისი წარმოდგენები და ცნებები გარეთ გამოიტანოს ფიზიკური საშუალებებით, რომელთა

შორისაც უპირველესია ბგერა. წარმოდგენა ცნებებად გარდაიქმნება მხოლოდ ბგერასთან კავშირში. ბგერის გარეშე ეს პროცესი ვერ განხორციელდება. წარმოდგენის ცნებებად გარდაქმნას ფსიქოლოგები აზროვნების დანაწევრებას უწოდებენ, რაც აპირობებს ვიზუალური აზროვნების კონცეპტუალურ აზროვნებაში ტრანსფორმაციას. ეს პროცესი თავის მხრივ გავლენას ახდენს თვით ბგერაზეც, რადგან აზროვნების დანაწევრებისას თვით ბგერაც დანაწევრებული ხდება. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ ადამიანს ექნებოდა ბგერითი გამოხატულების რამდენიმე ფორმა: კივილი, ღრიალი, ჩურჩული, ტირილი, სიცილი და ა.შ. აზროვნების საშუალებით ხდება ბგერის დანაწევრება გარკვეული რაოდენობის ღირებულებების მქონე (კონკრეტული ენისათვის) ერთეულად, რომელთა კომბინაციებით შეიძლება გამოიხატოს ცნებათა უსასრულო რაოდენობა. ამრიგად, ენა ფორმდება ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის საზღვარზე, რომელთა სინთეზის გზით წარმოიქმნება ახალი თვისობრიობა. ანუ ენობრივი სტრუქტურა. ენის როლი აზროვნების წარმოქმნის საქმეში განუზომელია. აზროვნების ყველაზე განვითარებული საფეხურია კონცეპტუალური აზროვნება, რომელიც ენის საშუალებით წარმოიქმნება. ენა რომ არ იყოს, არც კონცეპტუალური აზროვნება იქნება და არც ადამიანი (6,433-437; 4,196-199).

3.5. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ფსიქოლოგთა ამ გამონათქვამებს და დავძენთ, რომ აზროვნების ცნებუბად დანაწევრება, მართალია, ფსიქოლოგიური პროცესია, მაგრამ აქ თავს იჩენს ენის პრობლემა. კერძოდ, სხვადასხვა ენის მქონე ადამიანებში აზროვნების ცნებებად დანაწევრება სხვადასხვაგვარად ხდება. ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ „ენის მექანიზმს“

ვუწოდებთ. მშობლიურ ენაზე მეტყველების დროს ეს პროცესი მექანიკურია, თუ რაღაცას საგანგებოდ არ მიექცა ყურადღება. რაც შეეხება ბავშვს, ის მეტყველების განვითარებასთან ერთად ამ „მექანიზმსაც“ ითვისებს (რაღგან მას ეს „მექანიზმი“ ჯერ არ აქვს ჩამოყალიბებული). ცხადია, აღნიშნული პროცესი ვიზუალურად ვერ აღიქმება და ვერც რაიმე აპარატით გადაიღება. მხოლოდ შეგვიძლია ამის შესახებ ლოგიკურად ვიმსჯელოთ. ასე მაგ.: წარმოდგენა „დის“ შესახებ ქართულ ენაში აზროვნების დანაწევრების შემდეგ ერთ ცნებაში (სიტყვაში) გამოვლინდება: „და“. სვანურში კი იგივე წარმოდგენა ორ ცნებად ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რომელ „დაზეა“ საუბარი. თუ იგულისხმება „და“ „დისთვის“, იქნება: „უდილ“, ხოლო თუ იგულისხმება „და“ „ძმისთვის“ – „დაჩუირ“. ასევე ორ ცნებად გვევლინება „ძმის“ წარმოდგენა აზროვნების დანაწევრების შემდეგ: „ძმა“ ძმისთვის იქნება „მუხუბებები“, ხოლო მმა დისთვის: ჯგმილ. უნგრულ ენაში ამ დაყოფას კიდევ ემატება ასაკის მიხედვით გარჩევა: უფროსი და უმცროსი, რაც სხვადასხვა სიტყვებით გადმოიცემა. არსებობს ენები, სადაც „და“ და „ძმა“ ერთი სიტყვით გამოიხატება. ე.ი. არ ხდება ამ ნათესაური კავშირის სქესის მიხედვით გარჩევა. ისევე, როგორც, ვთქვათ, ქართულში სიტყვა „მასწავლებელი“ გულისხმობს ქალსაც და კაცსაც. მაგრამ იგივე წარმოდგენა რუსულ ენაში ორ ცნებად ყალიბდება: «учитель» და «учительница». ქართულში არ არსებობს მოცემული სიტყვის სქესის მიხედვით დიფერენცირებული ვარიანტები, რაღგან ქართულს არ აქვს სქესის კატეგორია, გასაგებია. მაგრამ საიდან მოდის ყოველივე ეს? ეს არის წარმოდგენის აზროვნებად სხვადასხვაგვარი დანაწევრება, რომელიც

სხვადასხვა ენას სხვადასხვაგვარი აქვს, რასაც ჩვენ „ენის მექანიზმს“ ვუწოდებთ. რომელიც ნაწილობრივ ზედაპირულად გრამატიკულ სტრუქტურებში ვლინდება. „მასწავლებლის“ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ საქმე ეხებოდა სქესის გრამატიკულ კატეგორიას, „დის“ მაგალითში კი გრამატიკა უძლური აღმოჩნდა. საჭიროა საკითხის ინტერდისციპლინარული პლევა, რაც გულისხმობს ენის მოვლენების უფრო ფართო კუთხით დანახვას, ცხადია, ესეც ვერ იქნება ბოლომდე სრულყოფილი. ამგვარი მიდგომა თანამედროვე ლინგვისტიკაში უაღრესად აქტუალურია.

3.6. ჩვენი აზრით, ენის შესწავლის დროს ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული სტრუქტურის შესწავლის გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს „ენის მექანიზმზე“, რომლის ათვისების გარეშე შემსწავლელი სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს. გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად საკმარისია ასეთი მაგალითების გახსენება: უამრავია ისეთი შემთხვევა, როდესაც ზრდასრული ადამიანი უცხო ენის ლექსიკური ერთეულების გარკვეულ მარაგს ფლობს, ასე თუ ისე იცის გრამატიკული სისტემები, მაგრამ ლაპარაკს ვერ ახერხებს. ან კიდევ: ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ აზრის ჩამოყალიბება უჭირს. სწორედ „ენის მექანიზმის“ დაუფლების შემდეგ მთავრდება შემსწავლელის „სიმუნჯის პერიოდი“. ამ პროცესს ჩვენ „ენაში შესვლას“ ვუწოდებთ, რაც გულისხმობს ენის „სემანტიკური ველებისა“ და გარკვეული საკომუნიკაციო დიალოგების ცოდნას, ენის სტრუქტურაში გარკვევას და „ენის მექანიზმის“ ათვისებას. საინტერესოა, რომ ამ პროცესების გავლის შემდეგ ადამიანს აღარ უჭირს ახალი წინადადებებისა და ლექსიკური ერთეულების დამახსოვრება, ამისათვის

მას აღარ სჭირდება დიდი ენერგიის დახარჯვა. ოუ, მაგალითად, არ ახსენდება, ან არ იცის, რომელიმე სიტყვა, სხვა სიტყვებით შეცვლის და თავის აზრს მაინც გამოთქვამს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, პასუხი კითხვაზე: ენის რა ცოდნაა საკმარისი, რომ ენა გამოვიყენოთ? ასეთია: შემსწავლელმა უნდა იცოდეს ენის ლექსიკური ფონდი (დაახლოებით 2000 სიტყვა მაინც, როგორც ეს არის 5 წლის ბავშვის შემთხვევაში), ერკვეოდეს ენის სტრუქტურაში და აითვისოს „ენის მექანიზმი“. ამ უკანასკნელის ათვისება ძირითადად სმენითი მექსიერებით ხდება. აღნიშნული პროცესების გავლის შემდეგ ზრდასრული ადამიანი 5-6 თვეში ახერხებს კომუნიკაციას შესასწავლ ენაზე (რაც დაგვანახა პრაქტიკამ).

მეორე ენის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომა იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ შემსწავლელის ენის ფლობის დონეები. რაც შეეხება ენის ცოდნის გაღრმავება, ყველასათვის ცნობილია, რომ ის დაუსრულებელი პროცესია.

4.1. ენის ძირითადი განმარტებიდან: ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, ნათელია, რომ არ არსებობს ენა საზოგადოების გარეშე და არც საზოგადოება არსებობს ენის გარეშე. ამდენად, ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორია ურთიერთობა ენასა და საზოგადოებას შორის. რა გავლენას ახდენს საზოგადოება ენაზე ან, პირიქით, ენა – საზოგადოებაზე. ამ საკითხებს იკვლევს სოციოლინგვისტიკა, რომლის შესახებ ზემოთ მოკლედ გვქონდა საუბარი.

4.2. სოციოლინგვისტიკა შეისწავლის მიმართებას ენასა და საზოგადოებას შორის. ამასთან, ენაც და

საზოგადოებაც განიხილება როგორც გარკვეული სტრუქტურები. სოციოლინგვისტიკის ამოცანას შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ურთიერთმიმართება ენობრივ სისტემასა და სოციალურ სტრუქტურებს შორის (1,449-50). ენათმეცნიერებაში ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლება ანტუან მეიე. მისი აზრით, ენის სრულყოფილი გააზრება შეიძლება მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით. ენობრივი ერთეულების ცვლილებებს ძირითადად სოციალური ფაქტორები განსაზღვრავენ. ენა საზოგადოებაშია განვითარები, ხოლო საზოგადოება – გარკვეულ ტერიტორიაზე, რაც განაპირობებს ენებში ტერიტორიული დიალექტების წარმოქმნას. ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენები არსებობს, რაც სოციალური დიალექტების წარმოქმნის საფუძველია. სოციოლინგვისტიკა იკვლევს მეტყველებას და მის იმ თავისუფალ ვარიანტებს, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა სახის განსხვავებებს საზოგადოებაში.

სოციოლინგვისტური კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სალიტერატურო ენას, როგორც სტანდარტიზებულ ენობრივ სისტემას, რომელიც იქმნება საზოგადოების გარკვეული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (1,451). სალიტერატურო ენას, რომელსაც ოფიციალური ენის სტატუსი აქვს, ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციით ენიჭება სახელმწიფო ენის სტატუსი. ამ ენის მომხმარებლებია საგანმანათლებლო სკოლები და ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, საერთოდ საგანმანათლებლო და სახელმწიფო სტრუქტურები, მედია საშუალებები, საზოგადოების განათლებული ფენა, ძირითადად ქალაქის მოსახლეობა და სხვა. სოციოლინგვისტიკასთან არის დაკავშირდება და მიმართულების დიალექტების ცვლილებების მიზანით.

რებული ტერმინები: „კოინე“, „ენობრივი ნორმა“, „ენობრივი დაგეგმარება“, „ენობრივი პოლიტიკა“ და სხვა. გვინდა შევჩერდეთ უკანასკნელზე „ენობრივი დაგეგმარება“ მრავალენოვან საზოგადოებაში მჭიდროდ უკავშირდება ენობრივ პოლიტიკას, რომელსაც ხელისუფლება ატარებს ენობრივი სიტუაციის დასარეგულირებლად. ასე მაგალითად: დადგენა იმისა, თუ რომელ ენას უნდა მიეცეს სახელმწიფო ენის სტატუსი; არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ ქვეყანაში ორ ენას აქვს მინიჭებული ერთდროულად სახელმწიფო ენის სტატუსი და ა.შ.

4.3. საქართველოსათვის არ არის უცხო სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული პრობლემები. როგორც აღნიშნული იყო, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები საკმარისად ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, რაც უქმნის მათ პრობლემას. ამ პრობლემის გადაჭრაში საქართველოს დახმარებას უწევს ევროპის საბჭოს ენის პოლიტიკის განყოფილება.

## ორგორ გასწავლოთ ძართული შერა-პითხება არაძართველებს

1.1. ენის ათვისების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების საწყის ეტაპს. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, გაუადვილოს შემსწავლელს ეს პროცესი. ამ პირველმა ნაბიჯებმა არ უნდა გამოიწვიოს მასში უარყოფითი ემოცია, შიში, რამაც შეიძლება საერთოდ გადააფიქრებინოს ენის შესწავლა. მასწავლებელი ვალდებულია შემსწავლელს შეუქმნას განწყობა, რადგან განწყობა ააღვილებს წინააღმდეგობის დაძლევას (6,80).

უნდა დავიწყოთ უმარტივესით, რომ მალე მივაღწიოთ პირველ წარმატებებს, რაც სტიმულს აძლევს შემსწავლელს.

1.2. ჩვენ შემთხვევაში ვიწყებთ ასოების წერით. ცნობილია, რომ ქართული ანბანი არ ჰგავს სხვა ენების დამწერლობებს, ამიტომ ასოს მოხაზულობის ათვისებას გარკვეული დრო სჭირდება. ვიწყებთ უმარტივესი ასოებით, რომლებიც ერთმანეთისგან მოხაზულობის მიხედვით ცოტათი განსხვავდებიან. ასოებს გასწავლით შემდეგი თანამიმდევრობით:

იწერება შუა ხაზზე:

ი ი

ო ო (ლ)

თ თ

ი ო(ლ) თ

იწერება ხაზზე და ხაზის ზევით:

ବ ବ  
ବ ବ  
ବ ବ


იწერება ხაზის ხევით:

đ đ ð ð ś ś b b ź ź g g (h) h  
ńń d d k k a a ńń ńń ńń  
ńń ńń ńń ńń ńń ńń ńń ńń  
ńń


იწერება ხაზის ქვევით:

Handwriting practice lines showing rows of cursive letters 'a', 'd', 'g', 'j', 'o', 'p', 't', 'v', and 'w'.


იწერება ხაზს ქვემოთ და ამოდის შეს ხაზზე:



იწყება შუა საზოე და ჩადის ქვემოთ:



უჭირავს შუახაზიდან ზემო და ქვემო არე



ასოებს აუცილებლად აქვს მაჩვენებელი ისარი, რომლის მიხედვით გასაგები ხდება, საიდან იწყება და სად მთავრდება ასოს მოხაზულობა. ასოების წერის დროს მუდმივად ვუმეორებთ მოცემულ ბგერებს, გამოვთქვამთ გარკვევით, ნელა გასაგებად, ვუწერთ ტრანსკრიფციას, ვამეორებინებთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვაიძულებთ, რომ გამოთქვას ზუსტად (გავიხსენოთ ბავშვის შემთხვევა). ის დროთა განმავლობაში ამას აითვისებს. მასაც ვამშვიდებთ და ვარწმუნებთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ მარტივად მოახერხებს ამ ბგერების გამოთქმას. ახლად შესწავლილი ასოების

პარალელურად მუდმივად ვამეორებინებთ ძველს, რომელიც ადრე ისწავლა და ასე ბოლომდე („პროგრესული დასწავლის“ მეთოდი) (9,67).

1.3. გადავდივართ კითხვაზე. ეს უკვე ახალი საფეხურია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საწყის ტექსტებს, რომლებიც არ უნდა მოიცავდეს უცხო სიტყვებს, რათა მთელი ყურადღება კონცენტრირებული იქნეს კითხვაზე, რომ ეს პროცესი მარტივად წარიმართოს. პირველი ტექსტი არის ადამიანთა საკუთარი სახელები, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია საქართველოში და შეიძლება მისთვის ნაცნობიც იყოს. ამ ტექსტში არ არის არც ერთი ბგერა, რომლის გამოთქმაც მას გაუჭირდება (ანუ ყველა ბგერა მისთვის ნაცნობია). კითხვას ახერხებს მარტივად, რაც მას დიდ სტიმულს აძლევს. აქვე ვასწავლით, რომ მიმართვისას ეს სახელი მხოლოდ ისეთი ფორმით უნდა ვიხმაროთ, როგორც ჩვენს ტექსტშია. ყველა სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით (ე.ი. არ აქვს ბოლოში რაიმე დამატებითი სუფიქსი). ეს არის მიმართვის ფორმა, რომელსაც წოდებით ბრუნვას უწოდებენ.

1.4. შესწავლის პროცესს ძალიან ეფექტურს ხდის დიქტორთან მუშაობა, რომელიც გარკვევით, შედარებით ნელა კითხულობს ტექსტს. ტექსტის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ შემსწავლელი კარნახის დაწერას ახერხებს დიქტორის კითხვის პროცესში. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია: მან უნდა მოასწროს! დრო შეზღუდულია! ჩვენი მოთხოვნაა: რაც შეიძლება ცოტა სიტყვა გამოტოვოს! (ცხადია, თუ ვერ ახერხებს, გამოტოვებს). წერის შესწავლის ხარისხი ამით იზომება. მისი წერა უნდა მიუახლოვდეს მშობლიურ ენაზე წერის პროცესს, ანუ გახდეს მექანიკური. I

ტექსტის შემდეგ II ტექსტი კვლავ ადამიანის სახელებია, მაგრამ აქ უკვე ირთვება მისთვის უცხო ბერები, ყურადღებას ვამახვილებთ მათ გამოთქმაზე, არის საგანგებო სავარჯიშოები და სხვა. შემდეგი ტექსტი არის მსოფლიოს ქვეყნების სახელწოდებები ქართულად, შემდეგ მსოფლიოს ქალაქების დასახელება. ბოლოს იწყება საქართველოს კუთხეების, მდინარეების სახელწოდებები და გამოჩენილ ადამიანთა სახელები და გვარები, რომელთა უმეტესობა მისთვის უკვე ნაცნობია ქუჩის სახელწოდებების მიხედვით. კითხვას მუდმივად თან სდევს კარნახით წერა, რასაც საბოლოოდ მივყავართ შედეგამდე. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამ გზით წერა-კითხვის შესწავლა ზრდასრულ ადამიანებში კარგ შედეგებს იძლევა.

### **როგორ ვასწავლოთ სახელთა ბრუნება არაქართველებს**

1.1. სახელთა ბრუნვების შესწავლას ვიწყებთ ეტაპობრივად, რადგან ყველა ბრუნვის ფორმის ერთდროულად დამახსოვრება (კითხვების გარეშე) ძალიან ძნელია და კიდევ უფრო ძნელია მათი ფუნქციების გაცნობიერება.

1.2. ამიტომ ვასწავლით ჯერ 3 ბრუნვას (სახელობითი, მოთხოვნილი, მიცემითი), რომლებიც პირმიმართი აქტანტების ბრუნვებია (სამივე ბრუნვაში გვხვდება ქვემდებარებული სახელობითსა და მიცემითში – პირდაპირი ობიექტი; მიცემითში – ირიბი ობიექტი) და მათ გარეშე არ აიგება უმარტივესი წინადადებაც კი.

აღნიშნულ ბრუნვებს განსაკუთრებული გრამატიკული მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ მათ პირდაპირ ბრუნვებს ვუწოდებთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამ ბრუნვაში სახელის ფუძე არ იცვლება, მხოლოდ ბრუნვის ნიშნები იცვლიან სახეს.

შემდეგ ვაძლევთ დანარჩენ სამს (ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი), რომლებსაც გრამატიკულ მნიშვნელობასთან ერთად განსაკუთრებული სემანტიკური მნიშვნელობებიც აქვთ. ეს მნიშვნელობები აუცილებლად ცალ-ცალკე უნდა შევასწავლოთ. ამ ბრუნვის ფორმებით წარმოდგენილი სახელები ზმნას არ შეეწყობა პირში ანუ ეს ბრუნვები არ არის პირმიმართი აქტანტების ბრუნვები, ამიტომ მათ ირიბ ბრუნვებს ვუწოდებთ.

გარდა ამისა, ირიბ ბრუნვებში ხდება სახელის ფორმის ცვლილებებიც. ყოველივე ეს განაპირობებს მათი ცალკე შესწავლის აუცილებლობას. შემსწავლელმა უნდა კარგად გააცნობიეროს აღნიშნული ბრუნვების ფორმები და ფუნქციებიც.

აუცილებლად საჭიროა სქემების წარმოდგენა, რაც ააქტიურებს ვიზუალურ მესიერებას. სქემები უნდა იყოს სრულყოფილი, დასამახსოვრებელი.

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, საკუთარ სახელებთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი, ხოლო საზოგადო სახელებს რაც შეეხება, ცალკე ვასწავლით.

პირდაპირი და ირიბი ბრუნვების შესწავლის შემდეგ ვაანალიზებთ მრავლობითი რიცხვის ფორმებს და გამონაკლისებს. ბოლოს თანდებულებს და თანდებულიან ფორმებს. თანდებულებში გამოვყოფთ შერწყმულ და ცალკე მდგომ თანდებულებს. მათ ლოკალუ-

რი მნიშვნელობების მიხედვით წარმოვადგენთ ცალ-  
ცალქე.

განვიხილოთ აღნიშნული საკითხები:

როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირი ბრუნვები ფუძის  
თვალსაზრისით პრობლემებს არ ქმნიან, მხოლოდ  
საჭიროა გავარჩიოთ სახელი თანხმოვანფუძიანია  
(.....ჩ), თუ ხმოვანფუძიანი (.....V), რაც არეგულირებს  
ბრუნვის ნიშნებს.

შემსწავლელმა უკვე იცის სახელობითი ბრუნვის  
ფორმა. თუ სახელს სახელდებით ფორმაში აქვს -ი ეს  
არის თანხმოვანფუძიანი სახელი, -ი არის სახელო-  
ბითი ბრუნვის ნიშანი (გარდა რამდენიმე გამონაკ-  
ლისისა: ჩაი, ტაქსი, კივი და სხვა). თუ არ აქვს -ი და  
აქვს სხვა რომელიმე ხმოვანი (ა, ე, ო, უ), სახელი  
ხმოვანფუძიანია, სახელობითი ბრუნვის ნიშანი მას  
დაკარგული აქვს. ამიტომ აღინიშნება ნულოვანი ალო-  
მორფით.

მაგ: ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები,  
რომლებიც ბოლოვდება:

ა-ზე: დედა, მამა, და, ძმა, ცა და სხვა;

ე-ზე: ხე, ტყე, მზე, კიბე, მებაღე და სხვა;

ო-ზე: ეზო, უთო, წყარო, ოქრო, სპილო და სხვა;

უ-ზე: ბუ, კუ, ძუძუ და სხვა.

შემსწავლელმა მხოლოდ მოთხოვობითი ბრუნვის  
ფორმები უნდა დაიმახსოვროს კარგად, რადგან  
მიცემითი ბრუნვის ნიშანი ორივე შემთხვევაში ერთი  
და იგივეა -ს. რაც შეეხება მოთხოვობით ბრუნვას:  
თანხმოვანფუძიანებში გვაქვს -მა, ხოლო ხმოვანფუძია-  
ნებში -მ.

თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები. მაგ.: ქალ-ი, ქაცი-ი, სახლ-ი, შვილ-ი, სოფელ-ი და სხვა.

წარმოვადგენთ თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებს პირდაპირ ბრუნვებში:

თანხმოვანფუძიანი (. . . C-)	ხმოვანფუძიანი (. . . V-)
სახ. . . C - ი ქალ-ი	სახ. . . V - Ø დედა-Ø
მოთხ. . . C - მა ქალ-მა	მოთხ. . . V - მ დედა-მ
მიტ. . . C - ს ქალ-ს	მიტ. . . V - ს დედა-ს


(C – თანხმოვნის სიმბოლოა, V – ხმოვნის)

13. ირიბი ბრუნვების განხილვას ვიწყებთ მათი ფორმების გაანალიზებით, რადგანაც ამ ბრუნვებში ხდება სახელის ფორმის ცვლილებები. ჯერ წარმოვადგენთ თანხმოვანფუძიან სახელებს (...C), რომლებიც შეიძლება ორ ქვეჯგუფად გავყოთ:

- სახელები, რომლებიც ბრუნვების დროს ფუძეს არ იცვლიან, ანუ ფუძეუკუმშველი სახელები.
- სახელები, რომლებიც ბრუნვების დროს ფუძეს იცვლიან. იკარგება სიტყვის ბოლო მარცვლის ხმოვანი, ანუ ფუძეუკუმშველი სახელები.

დაიკარგება სამი ხმოვანი ა, ე, ო სამ ბრუნვაში, ვიდებთ ალტერნაციებს: ა/Ø, ე/Ø, ო/Ø ან ო/გ (მონაცვლეობას ო/Ø ვიდებთ იმ შემთხვევაში, თუ ფუძეში არის ბაგისმიერი ბგერები: ბ, მ, ო, უ, ვ, თუ არა – ო/გ-ს). ამრიგად, სამივე ბრუნვაში სამი ხმოვანი იცვლის სახეს, რაც გამოწვეულია ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნებით (ესენია: -ის, -ით და – ად).. სქემატურად ასე გამოვხატავთ:

## օրոბօ ծրյնցըօ



	ա/Փ	յ/Փ
նատ. ... C-օև յալո-օև	նատ. ... <del>Կ</del> C-օև յալքմ-օև	սովյլո-օև
մოյ. ... C-օտ յալո-օտ	մոյ. ... <del>Կ</del> C-օտ յալքմ-օտ	սովյլո-օտ
զոտ. ... C-օգ յալո-օգ	զոտ. ... <del>Կ</del> C-օգ յալքմ-օգ	սովյլո-օգ
	ա/Ց	յ/Ց
	նատ. ... <del>Կ</del> C-օև ջոտթլո-օև	մինձվր-օև
	մոյ. ... <del>Կ</del> C-օտ ջոտթլո-օտ	մինձվր-օտ
	զոտ. ... <del>Կ</del> C-օգ ջոտթլո-օգ	մինձվր-օգ

աելօ ցանցօեօլոտ եմոցանցյմօանօ ևաթոցադու  
սաելցեօ, րոմլցեօւ անցաւ որ կըէջծուցած ոյլովա:


- սաելցեօ, րոմլցոտ ցոյմյ մտացրցեօ ա ան յ եմոցանիյ, որ ծրյնցանի նատեսառօտեսա დա մոյմլցեօտնի յարցացեն ցոյմօւյլ եմոցանն (ա/Փ დա յ/Փ), յ.ո. ուշացըօ սաելցու ցոյմյ. ամ րոցու սաելցեօն ցոյմէյցուցած սաելցեօն յնուցեյն. մաց. դյօժ-օև, եժ-օև, դյօժ-օտ, եժ-օտ დա ևեցա.
- սաելցեօ, րոմլցոտ ցոյմյ մտացրցեօ ա, յ ան օ եմոցանիյ (օ ցոյմօանօ սաելցեօն նյեսաեց նյմոտ ցըմնցու սայնարո). ծրյնցեօն դրու ցոյմյ առ ուցլցեօ, մացրամ ուցլցեօ ծրյնցու նոնանօ, ըացեցըօ եմոցանօ

(նատ. – թև → և (օ), մոյ. – թու → տօ).


մաց. ոյրո-թև (օ), յոյ-թև (օ),

ოქრო-ძთი, კუ-ძთი და სხვა.

ხმოვანფუძიანი სახელებს ფუძე არ ეკვიცებათ ვითარებით ბრუნვაში. უნდა ავუხსნათ რატომ? რადგან ამ შემთხვევაში ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -დ თანხმოვანი, ხმოვნის გარეშე. ამიტომ არ ხდება სახელის ფუძის პერსონალი. მაგ. ოქრო-დ, ხე-დ, კუ-დ, დედა-დ, და სხვა.




### თანხმოვანფუძიანი სახელები



(ო/ვ-ს შემთხვევაში V  
ნაცვლად იქნება ვ)

## სმოგანფუძიანი სახელები



1.4. აღვნიშნავთ რამდენიმე ისეთ შემთხვევას, რომელიც დამატებით ახსნა-განმარტებას მოითხოვს:

• ადამიანთა საკუთარი სახელები, რომელთა ფუძე შეიძლება დამთავრდეს როგორც თანხმოვანზე (ლევან, ეთერ, მარიამ და სხვა), ასევე ხმოვანზე (ნანა, ელენე, ნიკო და სხვა). ბრუნების დროს ფუძეს არ იცვლიან, ე.წ. ფუძეულშველ და ფუძეუპვეცელ სახელთა პარადიგმებს მიჰყებიან. მაგ.:

სახ. ლევან-ი	გიორგი-Ø	ნანა-Ø
მოთხ. ლევან-მა	გიორგი-მ	ნანა-მ
მიც. ლევან-ს	გიორგი-ს	ნანა-ს
ნათ. ლევან-ის	გიორგი-ჭს(ი)	ნანა-ჭს(ი)
მოქ. ლევან-ით	გიორგი-ჭთი	ნანა-ჭთი
გიო. ლევან-ად	გიორგი-დ	ნანა-დ

სახ. ელენე-Ø	ნიკო-Ø	ნუნუ-Ø
მოთხ. ელემე-მ	ნიკო-მ	ნუნუ-მ
მიც. ელენე-ს	ნიკო-ს	ნუნუ-ს
ნათ. ელენე-ჭს(ი)	ნიკო-ჭს	ნუნუ-ჭს(ი)
მოქ. ელენე-ჭთი	ნიკო-ჭთ	ნუნუ-ჭთი
ვით. ელენე-დ	ნიკო-დ	ნუნუ-დ

• რამდენიმე არსებით სახელს (დაახლოებით 10), რომელიც ბოლოვდება ა ან ე ხმოვანზე, სამივე ირიბ ბრუნვაში ფუძისეული ხმოვანი ეგუმშება და ფუძის ბოლო ხმოვანიც ეპევდება. ასეთ სახელებს კუმშვად-კვეცად სახელებს უწოდებენ.

პეპშლა-ის	მოყვარულ-ის
მოქ. პეპშლა-ით	მოყვარულ-ით
ვით. პეპშლა-ად	მოყვარულ-ად

• ზოგიერთ ა-ზე დაბოლოებულ სახელს არ ეკვეცება ფუძე, რადგან ეს – ა კნინობითობის (ან სხვა მნიშვნელობის) მაწარმოებელი სუფიქსია. მაგ.

ლურჯა	დედოფალა
ნათ. ლურჯა-შს	დედოფალა-შს

1. ცალკე გვინდა აღვნიშნოთ სიტყვა „ღვინო“, რომლის ფუძე მთავრდება -ო ხმოვანზე, მაგრამ ბრუნვების დროს -ო მოიკვეცება და გვექნება: „ღვინუ-ის, ღვინუ-ით.“

როგორც აღნიშნული იყო, ირიბი ბრუნვები გარკვეულ სემანტიკურ მნიშვნელობებს გამოხატავენ. წარმოვადგენთ ძირითადს:

**ნათესაობითი** ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელები გამოხატავენ:

• კუთვნილებას:

მაგ. ლევან-ის ბურთი, თამარ-ის ქუდი, ელენა-ს წიგნი და სხვა.

• გენეტიკურ კავშირს:

მაგ. ვანო-ს შვილი, ლევან-ის და, ირაკლი-ის ცოლი და სხვა.

• მასალას:

მაგ. ხ-ის საწოლი, ქვ-ის სახელი, ვერცხლ-ის ბეჭედი, ოქრო-ს საათი და სხვა.

მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელები გამოხატავენ:

• სამოქმედო იარაღს:

მაგ.: კალმ-ით დაწერა, ფანქრ-ით დახატა და სხვა.

• მოქმედების საშუალებას:

მაგ.: მანქან-ით მივდივარ, თვითმფრინავ-ით ვიყავი, ფეხ-ით დავდივარ და სხვა.

• აწარმოებს დროის ზმნიზედებს:

დამით მოვიდა. დილით ადრე ვდგები. საღამოთი ვუყურებ ტელევიზორს და სხვა.

გითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილმა სახელებმა (იგულისხმება არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები) შეიძლება გამოხატონ შემდეგი მნიშვნელობები:

• ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა (თითქმის ყოველთვის) გითარებით ზმნიზედას გამოხატავს:

მაგ. სახ. ცუდი

ვით. ცუდ-ად. ვთქვათ: ცუდად კერავს.

სახ. ლამაზ-ი

ვით. ლამაზ-ად, ვთქვათ: ლამაზად წერს და სხვა.

- რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა წილობითი სახელის ფუძეს აწარმოებს:

მაგ. სახ. მესამე  
ვით. მესამე-დ ვთქვათ: ერთი მესამედი, ან მესამედი ნაწილი.

- საგნის გარდაქმნას:

მაგ.: განო მხეცად იქცა.

- დანიშნულებას:

მაგ.: წამლად მინდა, ცოლად თხოულობს, ექიმად მუშაობს და სხვა.

- მიუთითებს ადგილს:

მაგ.: მეზობლად ცხოვრობს.

## **არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება**

1.1. არსებითი სახელები ორგვარად აწარმოებენ მრავლობითი რიცხვის ფორმებს. ეს არის –ებიანი და ნართანიანი მრავლობითი (მათ ისტორიაზე აქ არ შევჩერდებით). მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია –ებიანი მრავლობითი, რადგან ახალ ქართულში ძირითადად ის იხმარება.

I.–ებიანი მრავლობითი იწარმოება სახელის ფუძეზე –ებ სუფიქსის დართვით, რომელსაც შემდეგ დაერთვის ბრუნვის ნიშნები. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- თანხმოვანფუძიან ფუძეუკუმშველ სახელებში –ებ სუფიქსის დართვით ფუძე არ შეიცვლება. მაგ.: ქალ-ი, ქალ-ებ-ი, სახლ-ი, სახლ-ებ-ი და სხვა.

- თანხმოვანფუძიან ფუძეგუმშვად სახელებში –ებ სუფიქსის დართვის შედეგად ფუძე შეიკუმშება ექვს-

სავე ბრუნვაში. მაგ.: სოფელი, მრავლობით რიცხვში იქნება:

სახ.	სოფელ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-ებ-მა
მიც.	სოფელ-ებ-ს
ნათ.	სოფელ-ებ-ის
მოქ.	სოფელ-ებ-თ
ვით.	სოფელ-ებ-ად

• ხმოვანფუძიანი სახელები, რომელთა ფუძე მოვარდება ა ხმოვანზე (იგულისხმება აბსოლუტურად ყველა სახელი) -ებ სუფიქსის დართვის შედეგად ბოლო ხმოვანს დაკარგავენ ექვსივე ბრუნვაში.

სახ.	დედჯ -ებ-ი	ტოროლჯ-ებ-ი
მოთხ.	დედჯ -ებ-მა	ტოროლჯ-ებ-მა
მიც.	დედჯ -ებ-ს	ტოროლჯ-ებ-ს
ნათ.	დედჯ -ებ-ის	ტოროლჯ-ებ-ის
მოქ.	დედჯ -ებ-თ	ტოროლჯ-ებ-ით
ვით.	დედჯ -ებ-ად	ტოროლჯ-ებ-ად

• ხმოვანფუძიანი სახელები, რომელთა ფუძე მოვარდება ე, ო ან უ ხმოვანზე. ფუძე არ ეკვეცებათ – ებ სუფიქსის დართვისას. მაგ.:

სახ.	ხე -ებ-ი	სპილო-ებ-ი	კუ-ებ-ი
მოთხ.	ხე -ებ-მა	სპილო -ებ-მა	კუ-ებ-მა
მიც.	ხე -ებ-ს	სპილო -ებ-ს	კუ-ებ-ს
ნათ.	ხე -ებ-ის	სპილო -ებ-ის	კუ-ებ-ის
მოქ.	ხე -ებ-თ	სპილო -ებ-ით	კუ-ებ-ით
ვით.	ხე -ებ-ად	სპილო -ებ-ად	კუ-ებ-ად

1.2. როგორც აღვნიშნეთ, ნართანიანი მრავლობითი ახალ ქართულში იშვიათად იხმარება, გვხვდება ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციით. მაგ. ქალთა დღე, მოსწავლეთა სასახლე და სხვა. იწარმოება – ნ

და —თ მორფების საშუალებით, რომლებიც დაერთვიან სახელის ფუძეს და არ ცვლიან მას. —ნ გამოხატავს მრავლობითობას და დაერთვის სახელს სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს წინ. მაგ: ქალ-ნ-ი, კაც-ნ-ი და სხვა. ხოლო რაც შეეხება —თ მაწარმოებელს, ის სამ ბრუნვაში (მოთხ., მიც. და ნათ.) გამოიყენება და ყოველთვის თან ახლავს სავრცობი —ა.

მაგ.	მოთხოვითი	}	ქალთა, კაცთა.
	მიცემითი		
	ნათესაობითი		

დანარჩენ ორ ბრუნვაში (მოქ. და ვით.) ნართანიანი მრავლობითი არ გვხვდება. გვაქვს წოდებითი ბრუნვის ფორმაც. წარმოვადგენთ პარადიგმას:

სახ.	ქალ-ნ-ი	ხე-ნ-ი
მოთხ.	ქალ-თა	ხე-თა
მიც.	ქალ-თა	ხე-თა
ნათ.	ქალ-თა	ხე-თა
მოქ..	-----	-----
ვით.	-----	-----
წოდ.	ქალ-ნ-ო	ხე-ნ-ო

უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ადამიანთა საკუთარი სახელები და არც გეოგრაფიული სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმებს არ აწარმოებენ მასაგები მიზეზის გამო.

## თანდებულიანი ბრუნვები

1.1. ცნობილია, რომ ქართულში სახელს დაერთვის თანდებულები, რომლებიც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელს. აღნიშნული მორფემები შეიძლება შეერწყას სახელის ფუძეს, ან ბრუნვის ნიშანს, რის გამოც მათ სახელთან შერწყმული თანდებულები ეწოდება. თანდებულები, რომლებიც არ უერთდება სახელის ფუძეს და ცალკე არის წარმოდგენილი, ასეთ თანდებულებს ცალკე მდგომ თანდებულებს უწოდებენ.

1.2. შერწყმული თანდებულები სახელთან ურთიერთობის მიხედვით სამ გარიანტს გვიჩვენებენ:

- თანდებული დაერთვის სახელის ბრუნვისნიშნიან ფორმას.
- თანდებულის დართვის დროს იკარგება ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ.
- თანდებული დართვის დროს საერთოდ იკარგება ბრუნვის ნიშანი და იგი პირდაპირ უერთდება სახელის ფუძეს.

გარკვეული თანდებულები გარკვეულ ბრუნვებს უკავშირდება. ასე რომ მათი დართვა სახელის ბრუნვის ფორმაზე განსაზღვრულია. ხუთ ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს თანდებული. ზოგ ბრუნვას შეიძლება 4-5 თანდებული დაერთოს (ცხადია, ცალ-ცალკე), ზოგს კი – მხოლოდ ერთი. წარმოვადგენთ სქემას, სადაც ნაჩვენები იქნება: რომელი თანდებული, რომელ ბრუნვას მიერთვის და როგორ.

	ბრუნვის ნიშანია წარმოდგენილი	ბრუნვის ნიშანია წარმო- დგენილი ნაწილობრივ	ბრუნვის ნიშანი დაკარგულია
სახელობითი	ი-ვით	—	—
მიცემითი	ს-თან, სა-ვით	—	-ზე, -ში, -თან
ნათესაობითი	ის(ა)-თვის, ის(ა)-გან, ის(ა)-კენ	—	—
მოქმედებითი	—	-იდან	—
ვითარებითი	—	-ამდე	-მდე

1.3. თანდებულების სემანტიკა ძირითადად ლოკალურ მნიშვნელობებს უკავშირდება. ლოკალურ მნიშვნელობებში არ იგულისხმება მხოლოდ სივრცე. აქვე შემოდის დროც. საერთოდ, ბევრ ენაში ეს ცნებები ერთ სისტემაშია გაერთიანებული. ვფიქრობთ, ქართულშიც ასეა. გარკვეულ ლოკალურ მნიშვნელობებს გარკვეული თანდებულები გამოხატავენ. ამ პრინციპის მიხედვით არის დაჯგუფებული თანდებულები:

- **ზედაპირზე ყოფნა გამოიხატება –ზე თანდებულით.**

მაგ.: წიგნი მაგიდა-ზე დევს, თავ-ზე მახურავს ქუდი, სახურავ-ზე კაცი დგას და სხვა.

ასევე **–ზე თანდებული მიუთითებს ზუსტ დროზე.**

მაგ.: მოვალ ხუთ საათზე. სამ საათზე იწყება ლექცია და სხვა.

• **შიგ ყოფნა გამოიხატება –ში თანდებულით.**

მაგ.: კარადა ოთახში დგას. მივდივარ უნივერსიტეტში. ვიყავი თეატრში და სხვა.

## **ასევე –ში გამოხატავს მოქმედებას გარკვეული დროის მონაკვეთში.**

მაგ. ხუთ საათში დავწერ. ორ საათში მოვალ.

- **ახლოს ყოფნა** გამოიხატება –**თან** თანდებულით.

ხესოან დგას, სახლთან მივიდა, ჩემთან ცხოვრობს.

- **მიმართულებას უჩვენებს – პერ თანდებული.**

მაგ. თინა სკოლისკენ წავიდა. ჩემი სახლისკენ №3 ავტობუსი მიდის და სხვა.

- **შიგნიდან გამოსვლას გვიჩვენებს თანდებული –იდან.**

მაგ. ვანო ოთახიდან გამოვიდა. თვითმფრინავი თბილისიდან გაფრინდა.

## **ასევე –იდან აღმნავს დროის მონაკვეთის საწყის პერიოდს**

მაგ.: დილის სამი საათიდან არ მძინავს. ხუთი საათიდან თავისუფალი ვარ.

- **გარკვეულ პერიოდი მიღწევას –მდე თანდებული გამოხატავს.**

მაგ. თბილისამდე 2 კილომეტრი დარჩა. ქუთაისამდე კმგზავრობ.

## **–მდე თანდებული გამოხატავს მოქმედების გაგრძელებას დროის გარკვეულ პერიოდამდე.**

მაგ. ვწერ 5 საათამდე. გნახავ 8 საათამდე.

- 14. გარდა ლოკალური მნიშვნელობებისა თანდებულები სხვა მნიშვნელობებსაც გამოხატავენ.

მაგ.

- **დანიშნულებას გამოხატავს –თვის თანდებული.**

მაგ.: წითელი კაბა შვილისთვის ვიყიდე. ეს წიგნი შენოვის გამოვიტანე ბიბლიოთეკიდან.

- **მასალას გამოხატავს –გან თანდებული.**

მაგ. მაგიდას ხისგან აკეთებენ. ვერცხლისგან ლამაზ ნივთებს ამზადებენ.

- **შედარებას გამოხატავს – ვით თანდებული.**

მაგ. საწყალი კაცი ძაღლივით დმუოდა განო მხეცივით იქცევა.

რაც შეეხება ცალკე მდგომ თანდებულებს, ისინი ძირითადად დაერთვიან **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმას. თანდებულების ფუნქციას ხშირად ზმნიზედებიც ასრულებენ.

მაგ.: სახლის წინ, ამხანაგის გამო უნივერსიტეტის უკან და სხვა.

მხოლოდ შუა და შორის თანდებულები დაერთვის მიც. ბრუნვის ფორმას.

მაგ.: კედლებს შუა, კედლებს შორის.

### **მიმართვა**

მიმართვა ქართულში წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. ტრადიციულად მას წოდებით ბრუნვას უწოდებენ, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. კ. თოფურია წოდებითის ფორმას არ მიიჩნევს ბრუნვად, რადგან იგი ვერ ასრულებს ბრუნვის სინტაქსურ ფუნქციას (არარის სიტყვათა დამაკავშირებელი ზმნასთან) ვერ შედის ზმნის სინტაგმაში. იმავეს ამტკიცებს შ. აფრიდონიძეც. ჩვენც ვიზიარებთ მათ მოსაზრებას და არ შეგვევს წოდებითი ბრუნვათა რიგში. ჩამოვთვლით რამდენიმე შემთხვევას, რომლებიც გასათვალისწინებელია მიმართვის ფორმების სწორად ხმარებისათვის.

- ადამიანის საკუთარი სახელები მიმართვის დროს იხმარება ფუძის სახით.

• ბოლოთანხმოვნიანი საზოგადო სახელები მიმართვისას დაირთავენ -ო სუფიქსს. მაგალითად: კაც-ო, ქალ-ო, ამხანაგ-ო და სხვა.

• ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებში მიმართვის ფორმის საწარმოებლად გამოიყენება -ო და -ვ სუფიქსები. -ო ერთმანერცვლიანებში, მაგ.: ძმა-ო, და-ო, მზე-ო, და სხვა. ორ- და მეტმარცვლიან საზოგადო სახელებში – -ვ, მაგ.: ქვეყანა-ვ, მიწა-ვ, სამშობლო-ვ.

## როგორ ვასწავლოთ ქართული ზმნა არაქართველებს

1.1. ქართული ზმნის სირთულე ცნობილია. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად მარტივად წარმოგვედგინა მისი ანალიზი. ზმნათა კლასიფიკაციას ვახდენთ ფორმალურ საფუძველზე, ვემყარებით მათ პარადიგმებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ სტრუქტურა მექანიზმებზე.

1.2. ქართული ზმნის სირთულე მის მრავალპირიანობაშია, რაც გულისხმობს ზმნის ფორმაში რამდენიმე პირის წარმოდგენას და შესაბამისად ამ პირების მიხედვით მისი ფორმების ცვლას. სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელები ზმნურ ფორმაში თავიანთ რეპრეზენტაციებს, ესპონენტებს წარმოაჩენებ (184) სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნური სტრუქტურა შეიცავს S და O პირების გამომხატველ შესაბამის ნიშნებს აფიქსების სახით. ქართული ზმნის სისტემა წარმოადგენს პიროვანი უდლილების ჩამოყალიბებულ სტრუქტურას. მისი ფორმები იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით. ჩვენ არ შევჩერდებით ზმნის პირიანობისა და ვალენტობის საკითხზე, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ახალ ქართულში

ზმნის ფორმაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან მაქსიმუმ ორი პირის ნიშანი. სამი პირის ნიშანი ერთდროულად არ გვხვდება. მაგრამ ასევე შესაძლებელია ზმნის ფორმა წარმოდგენილი იყოს პირის ნიშნის გარეშე  $\emptyset$  ალომორფებით.

აკ. შანიძე აღნიშნავს, თუ სუბიექტური პირი იცვლება (რიცხვის მიხედვით) და ობიექტისა კი არა, წყობა იქნება სუბიექტური. მაგ. ვ-ამზადებ, ამზადებ, ამზადებს და სხვა. სადაც სუბიექტური პირი ყველგან უცვლელია, ობიექტისა კი – ცვალებადი, წყობა ობიექტური იქნება. მაგ. მ-ამზადებს, გ-ამზადებს, ამზადებს და სხვა (7,190). ამრიგად, ქართული ზმნა შეიძლება იყოს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის. ახალ ქართულში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ხმარება განსაზღვრულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით. წარმოვადგენთ სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა ცხრილებს:

სუბიექტური პირის ნიშნების ცხრილი:

მხ. რ.	მრ. რ.
I ვ-, $\emptyset^1$ —	ვ-, $\emptyset$ — თ
II ხ-, $\emptyset$ - —	ხ-, $\emptyset$ - თ
III — ს-, ა-, ო-	— ენ-, ან-, ნ-, ნენ-, ეს

პირველი S პირის ნიშანი ახალ ქართულში ყველგან იხმარება, გარდა ვალ/ვედ ზმნებისა.  $\emptyset$  ალომორფის სხვა შემთხვევა ქვემოთ იქნება განხილული.

მეორე S პირის ნიშანი ხ – ახალ ქართულში იხმარება მხოლოდ ორ ზმნასთან. ესენია ვ-არ და ვალ/ვედ ზმნები. დანარჩენ შემთხვევაში  $\emptyset$  ალომორფი გვაქვს.

მესამე S პირის ნიშანი მხ. რიცხვში ოთხი ალომორფით არის წარმოდგენილი. მათი ხმარება არ არის თავისუფალი, განსაზღვრულია.

მრავლობითი რიცხვის I და II პირის ფორმებში იგივე ნიშნები იხმარება და ემატება –თ სუფიქსი, რომელიც მრავლობითობას აღნიშნავს. რაც შეეხება III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას, ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ალომორფით (5 ალომორფით), რომლებიც ორ გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავენ ერთდროულად: პირსა და რიცხვს, მათი ხმარებაც განსაზღვრულია.

I მე გ-არ ჩვენ გ-არ-თ	მე მო-ჭვალ ჩვენ მო-ჭვალ-თ
II შენ ხ-არ თქვენ ხ-არ-თ	შენ მო-ხ-ვალ თქვენ მო-ხ-ვალ-თ
III ის არი-ს ისინი არი-ან	ის მო-ვ-ა ისინი მო-ვლ-ენ


I მე მო-ჭვედი ჩვენ მო-ჭვედი-თ	მე გ-წერ ჩვენ გ-წერ-თ
II შენ მო-ხ-ვედი თქვენ მო-ხ-ვედი-თ	შენ ღ-წერ თქვენ ღ-წერ-თ
III ის მო-ვიდ-ა ისინი მო-ვიდ-ნენ	ის წერ-ს ისინის წერ-ენ

ობიექტური პირის ნიშნების ცხრილი:

მხ. რ.	მრ. რ.
I გ-	გვ-
II გ-	გ- — -თ
III პ-, ს-, ღ-, —	პ-, ს-, ღ-, — (თ)

I და II პირში პირდაპირ და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე ნიშნები აქვთ. ხოლო მესამე პირში (ლიტერატურული ნორმის მიხედვით) მხოლოდ ირიბ ობიექტს, რომელიც სამი ალომორფით წარმოგვიდგება. ხმოვნების, სონორი თანხმოვნებისა და ნაპრალოვანი

თანხმოვნების წინ ნულოვანი ალომორფია, ხოლო ხშული თანხმოვნების წინ იხმარება როგორც **ს-**, ასევე **ჸ-**. ბ ფ პ გ ქ კ წ შ-ს წინ ჸ იქნება. ხოლო დ თ ტ ბ ც წ ჯ ჩ ჭ-ს წინ – **ს.** სქემაზურად ასე გამოვხატავთ:



2.1. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება, რითაც განსხვავდება ქართული ინდოევროპული ენებისაგან, არის ზმნის ოთვლი ფორმა. იგულისხმება მრავალი გრამატიკული კატეგორიის მორფებით წარმოდგენა. ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა და მოსალოდნელია ყველა გრამატიკული კატეგორია სათანადო მორფებით გამოიხატოს, თუმცა ფლექსიური ტიპის მოვლენებიც საკმაოდ გვხვდება, რაც თავის მხრივ კიდევ დამატებით სირთულეებს ქმნის. ზემოთ ვისაუბრეთ პირისა და რიცხვის კატეგორიის გამომხატველ ნიშნებზე. ახლა გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გვარი და გარდამავლობა.

აკ. შანიძის ცნობილი თეორიის მიხედვით ქართულში სამი გვარი გამოიყოფა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

ვნებითი და საშუალი თავის მხრივ კიდევ 2 ჯგუფად იყოფა. ვნებითი: დინამიკური და სტატიკური. საშუალი: საშუალ-მოქმედებითი და საშუალ-ვნებითი. ხოლო უდლების 4 ტიპს გამოყოფს. I ტიპში გაერთიანებულია მოქმედებითი გვარის ზმნები, II ტიპში დინამიკური ვნებითი, III ტიპში – საშუალ-მოქმედებითი, ხოლო IV ტიპში – საშუალ-ვნებითი და სტატიკური ვნებითი.

არნ. ჩიქობავას თეორიის მიხედვით ქართულ ზმნაში ორი გვარი გამოიყოფა: მოქმედებითი და ვნებითი (8,060).

დამანა მელიქიშვილის აზრით, ვნებითი და საშუალი გვარის კატეგორიათა გამოყოფა ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ გაგებას, რომელიც ზოგადად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურადაა მიჩნეული 2,65).

საინტერესოა, ირინე მელიქიშვილის მოსაზრება ვნებითი გვარის შესახებ:

ვნებითი ნაკლებად არის კონვერსიული ხასიათის და ის გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნურ კლასად წარმოგვიდგება (3,92).

გვინდა ადგნიშნოთ დიანა ჰოლისკის თვალსაზრისიც, რომელმაც პირველმა შეუსაბამა ქართული ზმნის მორფოლოგიური კლასები სემანტიკურ კლასებს (13,24).

ჩვენ ვიზიარებთ ზმნის გვარის კლასიფიკაციას სინტაქსურთან ერთად სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით, მაგრამ უდლების ტიპების გამოყოფა გვარის კატეგორიაზე დაყრდნობით არ მიგვაჩნია მართებულოდ

რაც შეეხება გარდამავლობას, ასე განისაზღვრება: გარდამავალია აქტიური ზმნა, რომელსაც

გააჩნია პირდაპირი ობიექტი და თუ არ გააჩნია – გარდაუვალი. გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ მო-თხერობითი ბრუნვის შესახებ: ხშირად მას მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად მიიჩნევენ. არც ქართულში და არც ზოგიერთ სხვა ენაში, რო-მელსაც ერგატიული ბრუნვა აქვს, ერგატიული ბრუნვა არ უდრის პირდაპირ გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვას.

ყველა ის მოსაზრება, რომელიც იქნა წარმოდგე-ნილი ქართული ზმნის გვარის შესახებ გარკვეული არგუმენტაციის საფუძველზეა შექმნილი, რომელიც ბუნებრივი ენობრივი სისტემის მოქმედების შედეგებით განისაზღვრება. ენათმეცნიერი მოკლებულია შესაძ-ლებლობას, უშუალოდ დააკვირდეს ადამიანის თავის ტვინში წარმოდგენილი ბუნებრივი ენობრივი სისტემის მოქმედებას და შეადაროს იგი მის მიერ აგებულ წარმომშობ გრამატიკას. ეს გრამატიკა მხოლოდ საბო-ლოო შედეგების მიხედვით თუ შეიძლება დაემთხვეს რეალურ ენობრივ სისტემას (1,268).

ჩვენი აზრით, არც გვარისა და არც გარდამავ-ლობის კატეგორების სიღრმისეული შესწავლა არ არის საჭირო ენის დაუფლების პირგალ ეტაპზე. ამიტომ, ჩვენი ანალიზი ძირითადად ფორმალურ მონაცემებს ეყრდნობა.

2.2. ქართული ენის ანალიზის დროს უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი. ენა ძირითადად ორ სისტემას წარმოგვიჩენს:

- ზმნათა გარკვეული ჯგუფი ფორმის ცვლილებე-ბის დროს სერიების მიხედვით ფორმა-უცვლელ აქტან-ტებს შეიწყობს, ანუ ბრუნვებს არ იცვლის S და O ზმნებთან ურთიერთობისას, ამიტომ ამგვარ სისტემას არაცვლადს ვუწოდებთ.

- ზმნათა გარკვეული ჯგუფი ფორმის ცვლილების დროს სერიების მიხედვით ფორმაცვალებად აქტანტებს შეიწყობს, ანუ ბრუნვებს იცვლის S და O ზმნებთან ურთიერთობისას, ამიტომ ამგვარ სისტემას ცვლადს ვუწოდებთ.

1. არაცვლადისა და ცვლადის მიხედვით გამოვყოფთ სწორედ I და II ტიპს.

I ტიპი – არაცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნები.

II ტიპი – ცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნები.

I ტიპში ერთიანდება ყველა ის ზმნა, რომელიც მყოფადის მწკრივიდან ვნებითის –ები/-ება ყალიბში მოექცევა (10,121). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში –ები/-ება-ს გარდა გვხვდება –ევი/-ევა-ც და (რამდენიმე ზმნა) –ობი/-ობა-ც. ამ ზმნებს შეეწყობა ბრუნვაცვლელი პირმიმართი აქტანტები. აკ. შანიძის მიხედვით ეს ის ზმნებია, რომლებსაც ავტორი აერთიანებს II და IV უდლების ტიპებში, ანუ დინამიკური ვნებითი. მაგ.: ვთბები, ვიზრდები, ვემალები, ვწითლდები და სხვა. სტატიკური ვნებითი. მაგ.: კიდია – ეკიდება, ვწერივარ – ვეწერები და სხვა. საშუალ-ვნებითი. მაგ.: ვდგავარ – ვიდგები, ზის – იჯდება და სხვა.

II ტიპში ერთიანდება ყველა ის ზმნა, რომელიც აწყოს მწკრივში (მყოფადშიც) მთავრდება ოემის ნიშნებზე: –ავ. –ამ, ებ, –ობ, –ი, –ოფ, –ემ ან საერთოდ თანხმოვანზე. აკ. შანიძის მიხედვით I და IV ტიპის უდლების ზმნები, ანუ მოქმედებითი და საშუალო-მოქმედებითი. მაგ. ვაშენებ, ვხატავ, ვაწყობ, ვცცემ, ვაბამ, ვთლი, ვწერ, ვტირი, ვმდერი და სხვა.

აღნიშნულ სისტემებში, ცხადია, გამოიყოფა ქვეჯგუფებიც, რომლებიც ქართული ზმნის ბუნებიდან გამომდინარე გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებად

გაერთიანდება ან ფორმის წარმოების თვალსაზრისით დაიყოფა, მაგრამ ტიპებს შორის აღრევა არ მოხდება. არ იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც – ები/-ება ყალიბის ზმნა ბრუნვაცვალებად პირმიმართ აქტანტებს შეიწყობს, ან პირიქით.

წარმოვადგენო I და II ტიპის ზმნების რამდენიმე მაგალითს:

I ტიპი	II ტიპი
(ზმნები მთავრდება –ები/ება-ზე)	—
<b>I სერიის მწერივები:</b>	
მე ვ-იზრდ-ებ-ი	მე ვ-ცხოვრობ
ბავშვ-ი იზრდ-ებ-ა	ქალ-ი ცხოვრობ-ს
ბავშვ-ი იზრდ-ებ-ოდ-ა	ქალ-ი ცხოვრობ-დ-ა
ბავშვ-ი გა-იზრდ-ებ-ა	ქალ-ი ი-ცხოვრებ-ს
<b>II სერიის მწერივები:</b>	
მე გა-ვ-იზარდ-ე	ქალ-მა ი-ცხოვრ-ა
ბავშვ-ი გა-იზარდ-ა	ქალ-მა უნდა იცხოვრო-ს
<b>I სერიის მწერივები:</b>	
მე ვ-ეფერ-ებ-ი კატა-ს	მე ვ-ხატავ სურათ-ს
ეთერ-ი ეფერ-ებ-ა კატა-ს	ბიჭ-ი ხატავ-ს სურათ-ს
ეთერ-ი ეფერ-ებ-ოდ-ა კატა-ს	ბიჭ-ი ხატავ-დ-ა სურათ-ს
ეთერ-ი მო-ეფერ-ებ-ა კატა-ს	ბიჭ-ი და-ხატავ-ს სურათ-ს
<b>II სერიის მწერივები:</b>	
მე მო-ვ-ეფერ-ე კატა-ს	მე და-ვ-ხატ-ე სურათ-ი
ეთერ-ი მო-ვ-ეფერ-ა კატა-ს	ბიჭ-მა და-ხატ-ა სურათ-ი
ეთერ-ი უნდა მო-ეფერო-ს კატა-ს	ბიჭ-მა უნდა და-ხატო-ს
	სურათ-ი

წარმოვადგენო სქემებს სამივე სერიისთვის

I ტიპი				II ტიპი			
I სერია				II სერია			
S	V	O <sub>ირ.</sub>	(O <sub>ირ.</sub> )	S	V	O <sub>პირ.</sub>	O <sub>ირ.</sub>
სახ.	სუბ. წ. მიც.	მიც.	სახ.	სუბ. წ. მიც.	სუბ. წ. სახ.	მიც.	
III სერია							
S	V	O <sub>ირ.</sub>	(O <sub>ირ.</sub> )	S	V	O <sub>პირ.</sub>	O <sub>ირ.</sub>
სახ.	მიც.	მიც.	მოთხ.	სუბ. წ. სახ.	სუბ. წ. სახ.	მიც.	
		X		მიც.	ობ. წ.	სახ.	X

3.1. სტრუქტურა-მექანიზმები, რომლებიც ზმნის ფორმების მიხედვით იქმნება, ფაქტიურად არის მარტივი, გაუვრცობელი წინადადებები, ე.ი. ზმნა, თავისი პირმიმართი აქტანტებით. აქედან გამომდინარე, სტრუქტურა მექანიზმი გადის მორფოლოგის სფეროდან და სინტაქსის უკავშირდება. ეს არის, ჩვენი აზრით, კლასიკური შემთხვევა მორფოსინტაქსისა, როდესაც სინტაქსი მთლიანად ეყრდნობა მორფოლოგიური კატეგორების მექანიზმს ან პირიქით, სინტაქსის მექანიზმი განსაზღვრავს გარკვეულ მორფემათა გამოვლინებას. ასე თუ ისე, აღნიშნული სტრუქტურა-მექანიზმი არც მორფოლოგიას განეკუთვნება და არც სინტაქსს, ამიტომ შემოგვაქვს შუალედური დონისათვის, ჩვენი აზრით, მისაღები ერთეული – ძირითადი და არაძირითადი პირი.

პირი, რომელიც ასრულებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას (შეიძლება განცდას და სხვა) და ზმნა მის

მიხედვით იუდლება (ანუ იცვლება პირების მიხედვით), ძირითად პირს გუწოდებთ, ხოლო ყველა დანარჩენ პირს, რომელიც წარმოდგენილი იქნება ზმნის ფორმაში – არაძირითად პირს.

ამრიგად, ზმნაში შეიძლება იყოს ერთი ძირითადი პირი, ანუ ერთპირიანი ზმნები; ან ერთი ძირითადი და ერთი არაძირითადი, ანუ ორპირიანი ზმნები; ან ერთი ძირითადი და ორი არაძირითადი, ანუ სამპირიანი ზმნები. ყველა ეს შემთხვევა იმის მიხედვით, თუ როგორი წყობისაა ზმნა, გარკვეულ სტრუქტურა-მექანიზმებს შექმნის. განვიხილოთ ყველა შემთხვევა:

- ერთპირიანი ზმნა, ანუ ზმნას აქვს მხოლოდ ძირითადი პირი, ზმნა კი სუბიექტური წყობისაა, სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

მაგ.	ძირ.	პირ.	სუბიექტ. წყობა
სახ.	ბრ.		V
	კაც-ი		არი-ს
	ყვავილ-ი		ყვავი-ს
	სახლ-ი		ჩან-ს
			და სხვა.

როგორც ვნახეთ I სერიის ფორმებთან (ე.ი. აწმყოს წრე და მყოფადის წრე) ცვლადი სისტემის აქტანტებიც იგივე ბრუნვებში წარმოგვიდგება, რომელ-შიც არაცვლადი სისტემის. ამიტომ ამ ეტაპზე ისინი არ გვაძლევენ განსხვავებულ სქემებს.

- ორპირიანი ზმნა, ე.ი. ერთი პირი იქნება ძირითადი, ხოლო მეორე არაძირითადი. ზმნა სუბიექტური წყობისაა. ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ძირითადი

პირი სახელობით ბრუნვაში, ხოლო არაძირითადი – მიცემითში.

### სქემა I

მირ. პირ.	სუბ. წყობა	არაძირ. პირი
სახ. ბრ.	V	მიც. ბრ.
მე	ვ-იცნობ	ლევან-ს
შენ	იცნობ	ლევან-ს
ის	იცნობ-ს	ლევან-ს
კაც-ი	იცნობ-ს	ლევან-ს
ქალ-ი	წერს	წერილ-ს
ნანა	აშენებ-ს	სახლს-ს
მე	ველაპარაკები	ნინო-ს
ნანა	ეჯიბრება	ნუცა-ს

ორპირიანი ზმის სქემა, ცხადია, პირველ სქემასაც გულისხმობს. იგივე ვითარება გვექნება, თუ ზმნაში კიდევ ერთი არაძირითადი პირი იქნება, ანუ ზმნა იქნება სამპირიანი, ასეთ შემთხვევაში მეორე არაძირითადი პირიც მიცემითი ბრუნვით წარმოგვიდგება. მაგ. ელენე ეთამაშება ბურთ-ს ნუნუ-ს. ყველა ეს შემთხვევა მოცემულ სქემაში ერთიანდება. მას აღვნიშნავთ პირველი ნომრით.

ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ზმნა ობიექტური წყობისაა. ასეთი ზმნები ყოველთვის ორპირიანია, ყოველ შემთხვევაში ორი პირის ნიშანია წარმოდგენილი (პოტენციურად) ზმნაში, მაგრამ შეიძლება ერთი პირი დაიკარგოს, ან ნიშანი დაიკარგოს (ფონეტიკური მიზეზით). ყოველივე ამას არა აქვს მნიშვნელობა. სტრუქტურა-მექანიზმი იქნება ასეთი: ძირითადი პირი მიცემით ბრუნვაში, ხოლო არაძირითადი

პირი სახელობით ბრუნვაში. სქემა ასეთ სახეს  
მიიღებს.

### სქემა II

მირ. პირ.	ობ. წყობა	არაძირ. პირი
მიც. ბრ.	V	სახ. ბრ.
მე	მ-ყაგ-ს	შვილ-ი
შენ	გ-ყაგ-ს	შვილ-ი
მას	ჰ-ყაგ-ს	შვილ-ი
ეთერ-ს	ჰ-ყავ-ს	შვილ-ი
თამარ-ს	ღაქვ-ს	ფულ-ი
თინა-ს	ღუნდ-ა	ჩაი-Ø
ლევან-ს	ღუყვარ-ს	ელენ-Ø
ნიკო-ს	ღუყვარ-ს	თამარ-ი
მე	მ-ში-ა	X
შენ	გ-შია	X
მას	ღ-ში-ა	X
ნინო-ს	ს-ძინაგ-ს	X
ლევან-ს	ს-ცივ-ა	X და სხვა.

როგორც გნახეთ სხვაგვარი სქემები I სერიის ზმნის ფორმებთან არ არსებობს. რაც შეეხება მეორე სერიის ზმნებს, აქ განსხვავებული შემთხვევები გვაქვს. I ტიპის ზმნები არაფერს არ შეიცვლიან, ხოლო მეორე სისტემის ზმნები სხვა სქემას გვიჩვენებენ. ძირითადი პირი იქნება მოთხრობით ბრუნვაში, არაძირითადი პირი (პირდაპირი) – სახელობით ბრუნვაში, ხოლო არაძირითადი პირი (ირიბი) – მიცემით ბრუნვაში. იმის მიხედვით, თუ რა კომბინაცია გვაქვს, ფორმულა განსაზღვრავს მათ ფორმებს.

### სქემა III

ძირ. პირ.	სუბ. წყობა	არაძირ.	არაძირ.
		პირი	პირი
		(პირდ. O)	(ირიბი O)
მოთხ. ბრ.	V		
სახ. ბრ.		სახ. ბრ.	მიც. ბრ.
გე	დავწერე	წერილ-ი	X
შენ	დაწერე	წერილ-ი	X
მან	დაწერ-ა	წერილ-ი	X
ნიკომ	მიწერ-ა	წერილ-ი	დედა-ს
ვანო-მ	ააშენ-ა	სახლ-ი	X
ნანა-მ	იმღერ-ა	პიმნ-ი	
თინა-მ	იმღერ-ა	X	
თამარ-მა	იტირ-ა	X	
კაც-მა	იცხოვრ-ა	X	
პროფესორ-მა	უხელმძღვანელ-ა	X	ნანას
			და სხვა


რაც შეეხება მესამე სერიას, ყველაფერი გარკვეულია. თუ ზმნა არის სუბიექტური წყობის, პირველ სქემას წაჲყვება. თუ ზმნა ობიექტური წყობისაა – მეორე სქემას. II ტიპის ზმნები მესამე სერიაში მხოლოდ მესამე სქემის მიხედვით იუდლება, ხოლო I ტიპის ზმნები – I სქემის მიხედვით.

ამრიგად, აღნიშნული სამი სტრუქტურა-მექანიზმი უდევს საფუძვლად წინადადებების აგებას ქართულში.

4.1. ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ძირითადი პირი იცვლებოდა პირების მიხედვით, ხოლო არაძირითადი პირი მესამე პირში იყო წარმოდგენილი და არ იცვლებოდა. ასეთ შემთხვევაში


მესამე არაძირითადი პირი უმთავრესად უსულო საგანია. რა სურათი გვექნება, თუ არაძირითადი პირი ადამიანია და ის I ან II პირშია წარმოდგენილი. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

კომბინაცია: ძირითადი პირი I პირშია – არაძირითადი II პირში



ზმნაში წარმოდგენილია არაძირითადი პირის (ანუ ირიბი ობიექტის) ნიშანი, ნაცვლად იმისა, რომ მოცემული ყოფილიყო ძირითადი პირის ნიშანი ვსუფიქსი. ასეთ შემთხვევაში I პირის ნიშანი არასდროს არ ყოფილა ზმნაში, რადგან იგი გაჩენისთანავე იკარგება, ანუ სიმულტანური პროცესია. ამიტომ ის  $\emptyset$  ალომორფს უტოლდება, რაც აღნიშნული იყო სუბიექტური პირის ნიშნების ცხრილში (I სუბიექტური პირი  $\emptyset$  ალომორფით).

კომბინაცია: ძირითადი პირი II პირში – არაძირითადი პირი I პირშია.



როგორც ვხედავთ, აქაც ზმნაში არაძირითადი პირის (ანუ ირიბი ობიექტის) ნიშანია მოცემული, რადგან მეორე S პირის ნიშანი ყოველთვის იკარგება. აღნიშნული კომბინაციები ასე წარმოგვიდგება. მაგ:

მე	გ-იხატავ	შენ	სურათს
შენ	მ-იხატავ	მე	სურათს
მე	გ-იკერავ	შენ	კაბას

შენ	მ-იკერავ	მე	კაბას
მე	გ-ეთამაშები	შენ	
შენ	მ-ეთამაშები	მე	
მე	გ-აღვიძებ	შენ	
შენ	მ-აღვიძებ	მე	და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქე-  
მები გაუადვილებს ქართული ენის შემსწავლელთ  
სწორად ააგონ მარტივი წინადაღებები.

## Resume

The main for studying Georgian language is to analyze and learn the verb well. There are two main groups for verbs in Georgian language:

- 1 . The first group, when the actants don't change forms of case according to the series;
2. The second group, when the actants change the forms of the case according to the series.

We call unchangeable for the first type and changeable for the second type.

Here are given the scheme of these types:

I type				II type			
I series							
S	V	O <sub>ind.</sub>	(O <sub>ind.</sub> )	S	V	O <sub>dr.</sub>	O <sub>ind.</sub>
nom.c.	sub. w.	dat.c.	dat.c.	nom.c.	sub. w.	dat.c.	dat.c.
II series							
S	V	O <sub>ind.</sub>	(O <sub>ind.</sub> )	S	V	O <sub>dr.</sub>	O <sub>ind.</sub>
nom.c.		dat.c.	dat.c.	erg.c.		nom.c.	dat.c.
III series							
S	V	O <sub>ind.</sub>	(O <sub>ind.</sub> )	S	V	O <sub>dr.</sub>	O <sub>ind.</sub>
nom.c.		dat.c.	X	dat.c.	obj. w.	nom.c.	X

According to the verb some structure-mechaneries are formed in Georgian, which is the sphere of morphosyntax. We create the basic and non-basic person. The person according to which the verb is conjugated we call the BASIC person of the verb. A person according to which the verb is not conjugated i. e. according to which the verb doesn't change its form, we call a NON-BASIC person of the verb.

In mono-personal verbs of the subjective version in the Present tense the noun (pronoun) that expresses a basic person is presented in the Nominative. The construction of mono-personal verbs will look like the following:

<b>Basic person</b>	<b>Subjective order</b>
<b>Nomin. case</b>	<b>V</b>
օԵ	ՃՐԸ
ՃԱՅ-Ը	ՃՐՈ-Ը
ՃՅԱՅՈԼ-Ը	ՃՅՎՈ-Ը
ՆՅԱՅՈՒ-Ը	ԲՅԵ-Ը

When a bi-personal verb is in the present tense, the subjective order, noun (pronoun) that expresses the basic person is in the Nominative case and the non-basic person is in the Dative:

<b>Basic person</b>	<b>Subjective order</b>	<b>Non-basic person</b>
<b>Nomin. case</b>	<b>V</b>	<b>Dative case</b>
ԹԵ	Յ-ՕՅՑԻԾԸ	ԸՆՅՎԱՆ-Ը
ՅԵԿ	ՕՅՑԻԾԸ	ԸՆՅՎԱՆ-Ը
ՕԵ	ՕՅՑԻԾԸ-Ը	ԸՆՅՎԱՆ-Ը
ՃԱՅ-Ը	ՕՅՑԻԾԸ-Ը	ԸՆՅՎԱՆ-Ը
ԺԱԼ-Ը	ՄԵՐԸ	ՄԵՐՈԼ-Ը
ԵԱԾ	ԱՄԵՐԵԾԸ	ՆԵԼԸ
ԹԵ	ՅԵԼԱՔԱՐԱՔԵԾԸ	ԵՈՒՐ-Ը
ԵԱԾ	ԵՀՈՒԾԸ	ԵԿԸ

When a verb of the objective order is in the Present tense, the basic person stands in the Dative case and the Non-basic person in the Nominative:

<b>Basic person</b>	<b>Objective order</b>	<b>Non-basic person</b>
<b>Dative case</b>	<b>V</b>	<b>Nomin. case</b>
թյ	թ-յաց-ե	թշուլ-օ
թյն	թ-յաց-ե	թշուլ-օ
մաև	Յ-յաց-ե	Յշուլ-օ
յտյր-ե	Յ-յաց-ե	Յշուլ-օ
տամար-ե	Ծայց-ե	Ծյլ-օ
տոնա-ե	Ծյնջ-օ	Իսո-Ը
լոյցան-ե	Ծյյցար-ե	յլոյբյ-Ը
նոյռ-ե	Ծյյցար-ե	տամար-օ
թյ	թ-թօ-օ	X
թյն	թ-թօ-օ	X
մաև	Ծ-թօ-օ	X
նոնո-ե	Ե-ծօնաց-ե	X
լոյցան-ե	Ե-Ծօն-օ	X լօ լեցա.

When a verb of the II type is in the Past Perfect tense the basic person stands in the Ergative case and the non-basic person in the Nominative case and the second non-basic person in the Dative case

<b>Basic person</b>	<b>Subjective order</b>	<b>Non-basic person (O<sub>dir.</sub>)</b>	<b>Non-basic person (O<sub>ind.</sub>)</b>
<b>Ergative case</b>	<b>V</b>	<b>Nomin. case</b>	<b>Dative case</b>
թյ	Ծավ՛յրյ	Վյրօլց-օ	X
թյն	Ծավ՛յրյ	Վյրօլց-օ	X
ման	Ծավ՛յր-օ	Վյրօլց-օ	X
նոյռմ	Թօվ՛յր-օ	Վյրօլց-օ	յլոյցան-ե
զանո-թ	ԱԱթյն-օ	Եաել-օ	X
նանա-թ	Օմլյըր-օ	Ճոմե-օ	
տոնա-թ	Օմլյըր-օ		X
տամար-մա	ՕԾիր-օ		X
յաց-մա	Օցեռըր-օ		X
ձրովյեսոր-մա	Ջեղլմծլցանյլ-օ	X	նանաև

## ლიტერატურა

1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.
2. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უდლების სისტემა, 2001.
3. ი. მელიქიშვილი, ვნებითი გვარი და თავისუფალ სიტყვათა რიგი როგორც აქტანტების ტოპიკალიზაციის აღტერნატივები, ინფორმაციის სტრუქტურირება, თბ., 2009.
4. რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1989.
5. ფერნანდ დე სოსიერი, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2002.
6. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV. თბ., 1964.
7. ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980.
8. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.
9. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.
10. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
11. Л. Блумфилд, «Язык», М., 1968.
12. Бодуэн де Куртенэ, Избранные Труды по Общему Языкоznанию, М., 1963.
13. Dee Ann Noliski, Aspect and Georgian Medial Verbs, Tbilisi, 2000.
14. E. Sapir, Language and Environment “American Anthropologist”, 1912.

15. R.L. Trask, Language, the Basic, Routledge, London and New York, 2004.
16. Н.С. Трубецкой, Избранные Труды по Филологии, М., 1987.
17. Б.Л. Уорф. Отношение норм поведения и мышления к языку, Новое в Лингвистике, М., 1960.

## ს ა რ ჩ ე ბ ი

<b>სმოგანთა რედუქცია სიტუაციი</b>	
შესავალი	3
ხმოვანთა რედუქცია, როგორც არააბლაუტური ბგერაომონაცვლეობა	4
ხმოვანთა რედუქციის სახეები სვანურში	6
ა/შ/, ე, ი და გ ხმოვანთა რედუქცია პოტენციურად სამ- ან ოთხმარცვლიანი სიტყვების მსუბუქ ბირთვში	17
ო/შ/ და უ/ჟ/ ხმოვანთა რედუქცია პოტენციურად სამ- და ოთხმარცვლიანი სიტყვების მსუბუქ ბირთვში	37
ა/შ/, ე, ი და გ ხმოვანთა რედუქცია პოტენციურად სამ- და ოთხმარცვლიანი სიტყვების მძიმე ბირთვში	47
ო/შ/ და უ/ჟ/ ხმოვანთა რედუქცია პოტენციურად სამ- და ოთხმარცვლიანი სიტყვების მძიმე ბირთვში	66
ხმოვანთა რედუქციის სქემები მსუბუქ და მძიმე ბირთვში პოტენციურად სამ- და ოთხმარცვლიანი სიტყვების მიხედვით	75
თანხმოვანთა მიმდევრობა CsC, როგორც სონორული კომპლექსი სვანურში	77
ხმოვანთა რედუქცია პოტენციურად ხუთმარცვლიან სიტყვებში	80
მორფოლოგიური შეზღუდვები, რომლებიც ცვლიან რედუქციის ფონოლოგიურ სქემას	94
დასკვნითი დებულებანი	109
Die Vokal Reduktion in der swanischen Sprache	111
ლიტერატურა	124

ქართულის, როგორც მეორე ენის, სავაჭროა შესავალი	128
როგორ ვასრავლოთ ქართული ტერა-კიონხა არაქართველებს	148
როგორ ვასწავლოთ სახელთა ბრუნება არაქართველებს	152
თანდებულიანი ბრუნვები	164
მიმართვა	167
როგორ ვასწავლოთ ქართული ზმნა არაქართველებს	168
Resume	183
ლიტერატურა	186



დაიბეჭდა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა  
აკადემიის სტამბაში